პროლეტარიანო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ მზარეულთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 8 მაისი, 1946 წ. № 92 (7565). ფასი 20 კაპ.

მთელ მსოფლიოს შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო არა მარტო საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაში, არამედ იმაშიც, თუ რა სამართლიან ხასიათს ატარებს მისი პოლიტიკა, რომელიც დამყარებულია ყველა ხალხთა თანასწორუფლებიანობის აღიარებაზე, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემაზე. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ საბჭოთა კავშირი, კვლავაც ერთგულად დაიცავს თავის პოლიტიკას, მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკას, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

ი. სტალინი

ბავშვთა კულტურისა და გონიერული დასვენების კერა

ბავშვები ჩვენს ქვეყანაში **ლენინ-სტალინის** პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული მზრუნველობის არიან გარემოცნენი. მათ შემქმნელი აქვთ ყველა პირობა წარმატებული სწავლისა და შემოქმედებითი ნიჭის ყოველმხრივ განვითარებისათვის. ამ დიდ საქმეს ემსახურებიან სკოლები, პიონერთა კლუბები, სახლები, ხორო ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურები, პიონერთა სასახლეები, სამეცნიერო თეატრები, ბალები, პარკები.

ძოწიერი თაობის იდეური და კულტურულ აღზრდას ემსახურება სკოლიგარეშე შუშაობის ყველზე დიდი ობიექტი საქართველოში — ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლე, რომელსაც თავის არსებობის 5 წელი შეუსრულდა.

კულტურისა და გონიერული დასვენების ეს მნიშვნელოვანი კერა საქართველოს ბავშვებმა მიიღეს დიდი სტალინის უახლესი თანამებრძოლის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ლავრენტი პაველს-ძე ბერიას ინიციატივით.

ხუთი წლის წინათ ბავშვების განკარგულებაში გადაეცა მთავრობის ყოფილი სასახლე, აღდგენილი და გამშვენიერებული, მდიდრულად მოწყობილი კამინეტებით, ლაბორატორიებით, სახელოსნოებით, მრავალიენოვანი დარბაზებითა და ულამაზესი ბაღით. პიონერთა სასახლის წინაშე ძირითად ამოცანად დაისახა ნორჩი თაობის იდეური და კულტურული აღზრდა, ბავშვთა შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინება. ამ სასპეტო ამოცანის წარმატებით შესრულებისაოვეის პიონერთა სასახლის კოლექტივმა სერიოზული, ნაყოფიერი შუშაობა გასწია. იგი ბავშვებს უნერგავს დაუცხრომელი სწავლისა და შრომის სიყვარულს, შთაგონებს უსაზღვრო ერთგულებას საბჭოთა სამშობლოსადმი, ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინისადმი.

სასახლის გარშემო შემოკრებილმა პიონერებმა და მოსწავლეებმა სამამულო ომის დღეებში ბევრი პატიოსანი საქმე გააკეთეს. ბავშვებს სახურები შეაქონდათ თავდაცვის ფონდში, შრომისა და მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ფრონტელთა ოჯახებს. სარეკბოს უგზავნიდნენ მებრძოლებს, აკრთვებდნენ სამკურნალო რცენარეებს. მათ 150 ტონა შაი და 15 ტონა ფერადი ლითონის ჯართი შეგროვეს მრეწველობისათვის, 30.000 მანეთზე მეტი შეიტანეს ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში. ამავე დროს სასახლის კაბინეტებში გაჩაღებული შემოქმედებითი მუშაობით ბავშვები იღრმავებდნენ სკოლაში შეძენილ ცოდნას, ეჩვევიანენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

პიონერთა სასახლის ამ მრავალმხრივი მუშაობის, შეუვეგები ასახულია თვით ბავშვების მიერ დაბეჭდილ შესანიშნავ გამოფენებში, მოდელებში, კოლექციებში.

ამჟამად თბილისის პიონერთა სასახლის წინაშე დასახულია ახალი საბრძოლო ამოცანები. ეს ამოცანები ნათლად განსაზღვრა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილმა ამხანაგმა ლავრენტი პაველს-ძე ბერიამ თავის მისალაბაში პიონერთა სასახლისადმი:

„მხურვალედ ვუსურვებ თბილისის პიონერებსა და მოსწავლეებს საბჭოთა ბავშვების კულტურისა და გონიერული დასვენების კერის — პიონერთა სასახლის 5 წლისთავს.

გისურვებთ, რომ პიონერთა სასახლე კვლავაც ზრდიდეს ჩვენს საბჭოთა ბავშვებს სამშობლოსა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით, ეხმარებოდეს ბავშვებს მიაღწონ სიუკეთესო მაჩვენებლებს სწავლაში, შემოქმედებითს ინიციატივას უღვიძებდეს პიონერებსა და მოსწავლეებს და ამით ხელს უწყობდეს კომუნიზმის მშენებლობაოა ახალი თაობის მომზადების საქმეს“.

ამხანაგ ბერიას ეს მითითება საფუძვლად უნდა დაედოს პიონერთა სასახლის კოლექტივის მთელ მუშაობას.

საჭიროა სასახლემ კიდევ უფრო განავითაროს კავშირი სკოლებთან, მეტი რაოდენობით შემოიკრიბოს თავის გარშემო პიონერები და მოსწავლეები, ჩაუნერგოს მათ როგორც სწავლის, ისე შრომის სიყვარული, განუვითაროს შემოქმედებითი ინიციატივა. სკოლიგარეშე მუშაობის მდიდარი გამოცდილება უნდა გავიტანოთ სასახლის გარეთ, ფართოდ გავუზიაროთ იგი პიონერულ კლუბებს, სახლებს, ხორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურებს. საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაღრმავდეს კავშირი სამეცნიერო დაწესებულებებთან, მეცნიერებთა აკადემიის სათანადო ინსტიტუტებთან, რომლებიც მცირე დახმარებას რიდი უწევდნენ და მომავალშიც გაუწევენ სასახლის განყოფილებებს.

პიონერთა სასახლის კოლექტივის ამოცანაა გაამდიერეოს შუშაობა ნორჩი თაობის კოზენსტრატიად აღზრდისათვის, დაეხმაროს ბავშვებს თანამეგობრობის ელემენტების და ტექნიკის საფუძვლების დაუფლებაში, დაუფლავად ჩაუნერგოს მათ სამშობლოსადმი, ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება. ამით იგი თავის წვლილს შეიტანს იმ გრანდიოზულ შემოქმედების მუშაობაში, რაც ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაშია გაჩაღებული ეროთის სტალინური ხუთწლიის წარმატებით განსახორციელებლად.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომკავშირული ორგანიზაცია, განაოლების ორგანოე მომზადაოშიც ყოველდღიურ დახმარებას უნდა უწევდნენ პიონერთა სასახლეს თავის მრავალფეროვან მუშაობაში.

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლე კვლავაც წარმატებით გაართვეს თავს მის წინაშე დასახულ ამოცანას — აღზრდის ნორჩ თაობას სამშობლოსა და ბრძენი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით. ამის საენდაარია ყოველდღიური დახმარება და მზრუნველობა, რასაც მას უწევს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

თბილისი გამარჯვების დღეს

სასახლო სეირნობა

ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავს საქართველოს დედაქალაქი თბილისი გამარჯვების დღეს — 9 მაისს.

ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე დღისით გამართება დიდი სახალხო სეირნობა. მოედანზე გამოვლინ სალოლო წითელარმიული მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადის მონაწილენი — მოცეკვავენი, მომღერალნი, ბაიანისტები, აკორდიტები.

მოეწყობა მასობრივი ცეკვა ორი სასუელ ორკესტრის თანხლებით.

ქალაქის კულტურისა და დასვენების უველა პარკში, ბაღებსა და ხუდაღოვის ტყეში გაიმართება სახალხო სეირნობა კონცერტებისა და სხვა მასობრივ გასართობთა სპეციალური პროგრამით.

ფილარმონიის ბაღში შესდგება დიდი სადღესასწაულო კონცერტი ესტრადის საუკეთესო ოსტატთა მონაწილეობით.

სადღესასწაულო კონცერტები ფილარმონიისა და ადგილობრივი თეატრების მსახიობთა მონაწილეობით გაიმართება აგრეთვე სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, შუშაოა კლუბებში.

ოფიცერთა სოლელო სახლში გაიმართება წითელარმიული მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადის მონაწილეთა კონცერტი. ნაჩვენები იქნება საუკეთესო ნომრები.

სადამოს ქალაქის მოედნებზე ნაჩვენები იქნება დოკუმენტალური ფილმები „მოსკოვის ცა“, „გამარჯვების პარადი“, „საბჭოთა სპორტსმენები ნორვეგიაში“ და თბილისის კინოსტუდიის კინკორონაკი.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა

პარიზი, 7 მაისი. (საკდსი). დღეს დილით შესდგა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მორიგი სხდომა.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ამხ. ვასილ არსენის-ძე რიბაკოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად ისლანდიაში.

ახალი სესხის გავრცელება კვლავ წარმატებით მიმდინარეობს

საქართველოში გავრცელებულია 536.153.000 მანეთის სესხი

გუშინ, 7 მაისს, ღამის 10 საათისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ახალ სესხზე ხელმოწერად მიღებული 536.153.000 მანეთს, რაც 23.153.000 მანეთით აღემატება გასაგრცელებლად ნავარაუდევ თანხას.

მუშებსა და მოსამსახურეებს შორის გავრცელებულია 257.307.000 მანეთის სესხი. ამ თანხიდან ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსასყიდად ნაღდ ფულად შემოტანილია 1.036.000 მანეთი.

კოლმეურნეებს შორის გავრცელებული სესხის თანხა ოდრის 278.846.000 მანეთს. აქედან ნაღდად შემოსულია 236.576.000 მანეთი.

სესხზე ხელმოწერა თბილისში

7 მაისს, საღამოს 10 საათისათვის თბილისში ახალ სესხზე ხელმოწერა შეადგენდა 106.746.000 მანეთს, ანუ გასაგრცელებლად ნავარაუდევი თანხის 110,9 პროცენტს.

ახალი სესხის გავრცელებაში ჯერ-ჯერობით მონაწილეობა მიიღო დეკემბერელმა 142.603 მშრომელმა. მათ შორის 3.241 პენსიონერია და 12.730 დიასახლისი.

ორგანიზაციის რაიონში ნავარაუდევზე 38,5 პროცენტით მეტი სესხია გავრცელებული; მოლოტოვის რაიონში—15,8 პროცენტით, კიროვის რაიონში—15,8 პროცენტით, სტალინის რაიონში—11,8 პროცენტით, ბერიას რაიონში — 11,3 პროცენტით და ლენინის რაიონში—8,6 პროცენტით.

ახალი სესხის წარმაჯვება

ახალ სესხზე ხელმოწერა განსაკუთრებული ორგანიზებულობით მიმდინარეობს მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებსა და დიდ სამრეწველო ცენტრებში. მოსკოვში, ლენინგრადსა და მთელ რიგ სამრეწველო ქალაქებში ხელმოწერამ გადააჭარბა სარეალიზაციოდ დასახულ თანხებს. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროში მიღებული ცნობებით, ხელმოწერამ მოსკოვში შეადგინა 1.462,7 მილიონი მანეთი, ლენინგრადში — 512,5 მილიონი მანეთი, კიევში — 145,1 მილიონი მანეთი, გორკში — 157,3 მილიონი მანეთი, ნოვოსიბირსკში — 127,5 მილიონი მანეთი.

მუშები და მოსამსახურეები მეტწილად ხელს აწერენ ისეთ თანხაზე, რაც თვიერ ხელფასს აღემატება. ერთიანობაზედ მიმდინარეობს ხელმოწერა მოსკოვის ოლქის მშრომელთა შორის. 4 მაისის დილი ბოლოსათვის ხელმოწერამ 621,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ოლქის მუშებმა და მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 502,5 მილიონ მანეთზე. კოლმეურნეებმა შეიძინეს 119 მილიონი მანეთის ობლიგაციები.

ხელმოწერა გრძელდება. (საკდსი).

2 მილიარდი მანეთი ნაღდად

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროში მიღებული ცნობებით, 6 მაისის საღამოსათვის, ე. ი. 3 დღის განმავლობაში, კოლეგიურებისაგან ახალ სესხზე ხელმოწერის ანგარიშში ნაღდად შემოვიდა 1.997.200.000 მანეთი. აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენთის სს რესპუბლიკებში ნაღდად შემოტანილი ფული ხელმოწერის თანხის 78-87 პროცენტს შეადგენს. ხელმოწერის 65 პროცენტი ნაღდი ფულით დაფარეს უზბეკეთის სს რესპუბლიკის, 63 პროცენტი — ყირგიზეთის სს რესპუბლიკის, 57 პროცენტი — ყაზახეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობა. (საკდსი).

რადიომრეწველობის ახალი პროდუქცია

აპრილში ჩვენი ქვეყნის რადიოქარხნებმა მიაღწიეს ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებთა წარმოების ომამდელ დონეს, ხოლო 1946 წლის დამლევისათვის გადააჭარბენენ ამ დონეს.

ელექტრომრეწველობის სამინისტროს ქარხნებმა მოაწყეს ოთხი ტიპის რადიომიმღებთა მასობრივი გამოშვება. გამოშვებულ იქნება ფართო მაუწყებლობის, მიმღები „რეკორდი“. ეს არის „პატარა ზომის ხუთნათურიანი ყველა ტალღის მიმღები; მას აქვს დინამიკური ხმამაღალა მოლაპარაკე. ენერგიის მიღება მას შეეძლია მდებარე და ცვალებადი დენის ქსელიდან. მზადდება ზეიდნთერული რადიომიმღები „ვოსტოკი“. უფრო ზუსტი აწყობის მიზნით ანტაკს აქვს ოპტიკური ასაწყობი ინდიკატორი, ეგრეთწოდებული „ჯადოსნური თვალი“.

ერთ-ერთ აღდგენილ ქარხანაში კვლავ მოეწყო სუპერ 8-557 რადიომიმღებთა წარმოება. მათაც ოპტიკური ასაწყობი ინდიკატორი აქვთ და ენერგიას ცვალებადი დენის ქსელიდან იღებენ. სოფელ ადგილებისათვის, სადაც ელექტრენერგია არ არის, უმეტესენ ექვსნათურიან მიმღებს „ოლიმპიას“, რომელიც ენერგიას მშრალი ბატარეიდან იღებს. 1947 წელს ელექტრომრეწველობის სამინისტროს ქარხნებმა გამოუშვებენ ათამდე ტიპის ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებს, მათ შორის რადიოლებსა და საათბომბალთა მიმღებებს.

ათვისებულია სასტუდიო აპარატურა — მაღალხარისხოვანი დინამიკური და ლენტიანი მიკროფონების, საკონტროლო ხმამაღალა მოლაპარაკეების, სამიკროფონო და სასტუდიო გამაძლიერებლებისა და სხვა ხელსაწყოების წარმოება. ახალი სასტუდიო აპარატების პირველი კომპლექტები მზადდება ლენინგრადისა და კიევის რადიოცენტრებში დასადგმელად.

მოსკოვის ერთ-ერთ რადიოქარხანაში გამოსაშვებად ამზადებენ საკოლმეურნეო რადიოკვანძის კომპლექტს. ასეთი სატრანსლაციო კვანძები გათვალისწინებულია იმ რაიონებისათვის, სადაც ელექტრენერგია არ არის. მათი მეგზველი აკუმულიატორები დამუხტება სწარმოებს ქარის ძრავეთი. (საკდსი).

სრულიად საკავშირო საჭადრაკო ფურნირი

სვერდლოვსკი, 6 მაისი. (საკდსი). დღეს სვერდლოვსკში დამთავრდა ოსტატების კანდიდატთა სრულიად საკავშირო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც 20 დღეს გრძელდებოდა და რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამეოთხო კავშირის 12 ქალაქის 15 საუკეთესო მოთამაშემ. პირველი ადგილი დაიკავა ქალაქ ხარკოვის წარმომადგენელმა კირილოვმა, რომელმაც დააგროვა 11 ქულა 14 შესაძლებლიდან და არე ერთი პარტია არ წაგებია. მან მოიპოვა სსრ კავშირის 1946 წლის პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება. 2, 3 და 4 ადგილები განაწილეს სოპკოვმა (იაროსლავლი), ივაშინმა (ულაბ-ულე) და შეროხინმა (ულან-ულე).

ნარჩენებიე ჩქარ გამოხრვლილა დაჯილდოება

სსრ კავშირის დასაკეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა ამხ. ფ. გ. ონიკიმ სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულ ლის ნიშნებითა და ‘ძვირფასი სახელ-ბრებით დააჯილდოვა დონბასისა და მოსკოვის აუზის წარჩინებული მაღაროელთა ჯგუფი — შახტების გვირაბის ჩქარი გათხრისათვის შესანიშნავი მოძძოანის მოთავეები. დაჯილდოებულთა შორის არიან ამხანაგები ალექსეევი, ბეჩეენოი, ბორისენკი, ავეუეეი, შორნინი, ალტუხოეი, ფედორენკო. ზოგიერთი ნოვატორი გამოხრელი — ამხანაგები ლუკინეეი, ფენისენკო და სხვები დაჯილდოებულ იქნენ წონით.

წარჩინებულთა ნიშნებისა და სახელოვნების გადაცემა შესდგა ინეინრის სახლში. მინისტრმა ამხ. ონიკიმ მიულოცა დაჯილდოებულთა. (საკდსი).

ახალი მაგნისტრალური ელმავალი

მოსკოვის კიროვის სახელობის „ლენამო“ ქარხანაში დამთავრდა „ელ“ სერიის მაგისტრალური ელმავლის მონტაჟი. ახალი ელმავალი მნიშვნელოვნად მოდერნიზებულია. მისი წევის ძრავების სიმძლეავრე გადიდებულია. ეკეთები 840-კილოგრამიანი მოტორ-კომპრესორის ნაცვლად ელმავალზე დადგმულია 665-კილოგრამიანი ტრაგი. ელმავლის მაქსიმალური სიჩქარე 79 კილომეტრია საათში. (საკდსი).

მოსკოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო— ამხანაგ ლავრენტი პაველს-ძე ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პაველს-ძევ!

თბილისის პიონერთა სასახლის არსებობის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილენი მზრუნველი პიონერულ სალამს გიძღვნიან თქვენ, ნორჩი თაობის უახლოეს მეგობარსა და დიდ მოამაგეს!

საქართველოს პიონერებისა და მოსწავლეებისათვის დაუვიწყარია 1941 წლის 2 მაისი, ის დღე, როდესაც გიახსნა ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდის კერა — ლავრენტი ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე.

თქვენი გულთბილი, სათუთი მზრუნველობის მეოხებით საქართველოს მოსწავლეე ახალგაზრდობის გადაეცა მთავრობის ყოფილი სასახლე, აღდგენილი და შეკეთებული, მდიდრულად მოწყობილი დარბაზებით, კაბინეტებით, ლაბორატორიებით და სახელოსნოებით.

სამამული ომის მძიმე პირობებში მოუხდა თბილისის პიონერთა სასახლეს მუშაობის დაწყება და გაშლა. მან თავის სასატანო მოვალეობად დაისახა მოსწავლეე ახალგაზრდობის დარაზმა ფაშიზმისა და ზურგის დასახმარებლად. ომის პირველსავე წელს სასახლეში გაერთიანებულმა პიონერებმა შეაგროვეს 150 ტონა შაი ლითონი, 15 ტონა ფერადი ლითონი, წითელი არმიის მებრძოლებს გაუგზავნეს საკუთარი ხელით დამზადებული სარეკბეი. ბავშვები ყოველწლიურად აგროვებდნენ სამკურნალო მცენარეებს დაჭრილ მებრძოლთათვის, ეხმარებოდნენ ფრონტელთა ოჯახებს, მართავდნენ კონცერტებს ჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწილებში.

პიონერებსა და მოსწავლეებს ყოველთვის ახსოვდათ და ახსოვთ თქვენი უმნიშვნელოვანესი მითითება, რომ ჩვენს ქვეყანაში კარგად სწავლა, სკოლაში სწავლის ფრიადოსნად ყოფნა ისეთივე სამამული საქმეა, როგორც შრომის გმირად ყოფნა ქარხანაში, კოლმეურნეობაში, კულტურის ფრონტზე... მოწაფეთა გმირობა და სამამაცე ფრიადზე სწავლაა!

პიონერთა სასახლეში მოსწავლეები აღრმავებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას, ეჩვევიანენ კვლევითს, შემოქმედებითს, ეკვნენ დამოუკიდებელ მუშაობას, ღებენ შრომითს ჩვევებსა და იწურნენიან ფიზიკურად.

სასახლის მრავალფეროვან საწრეო მუშაობაში ყოველწლიურად ჩაბმულია ხუთი-ექვსი ათასამდე მოსწავლე. 5 წლის მანძილზე პიონერთა სასახლის კაბინეტებში, სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში მრავლად დაგროვდა მოსწავლეთა მიერ დამზადებული ხელსაწყო-იარაღები, მოქმედი მოდელები, მაკეტები, რუკები, მხატვრულად შესრულებული თემატური ფარები, ფოტოფარები, ფერწერის ნიმუშები, ჰერბარიუმები, მინერალთა კოლექციები, ხელნაწერი ტარტანები, ალბომები, რეფერატები, მოხსენებები, მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედების, ნიმუშები, ნაკვრები.

ფართოდ არის დანერგილი ბრიგადური ხასიათის ლონისძიებანი: შეჯვერები მეცნიერებს, ხელოვნების, ტექნიკის გამოჩენილ მოღვაწეებთან, საამბულო მოსმენა მგზრეთან, ძველ რეკონსტეიონერებთან; ეწყობა ლიტერატურული საღამოები, დისპუტები, გასამართლებანი, სახალოო მეცნიერების საღამოები, დაესწრებელი საპეკნო კონფერენციები, ოლიმპიადები, საჯარო ლექციები, სასწავლო კინოფილმების ჩვენება, თვითმოქმედებითი მხატვრული საღამოები, სპექტაკლები, რომლებსაც ათეულ ათასობით ბავშვი ესწრება.

პიონერთა სასახლეშ გამოავლინა მრავალი ნიჭიერი ბავშვი და შესაბამისად წარმართა მათი შემდგომი ზრდა-განვითარება.

სასახლის ყოფილი ნორჩი ისტორიკოსები, ლიტერატორები, ტექნიკოსები, ბიოლოგები, ნატურალისტები, მსახიობები, მხატვრები წარმატებით გაგზავრობენ წწავლას უმაღლეს სასწავლებლებში და ითვლებიან მოწონაგე სტუდენტებად.

ეს წარმატებანი პიონერთა სასახლეშ მოიპოვა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობით.

ჩვენ, თბილისის პიონერები და მოსწავლეები, ამ ზეიმის წუთებში უსაზღვრო მადლიერებას განვიცდით თქვენი მარადსახსოვარი მოლოცვის გამო.

გეფიცებთ, ძვირფასო ლავრენტი პაველს-ძე, რომ არ დავიშურებთ ძალ-ღონეს თქვენი შთამაგონებელი მითითებების შესასრულებლად, დაუღალავად ვიბრძოლებთ, ვათა გავამართლოთ დიდი ბელადის — **საყვარელი სტალინის** შობლოური მზრუნველობა.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დიადი ხუთწლიანი გეგმის **სამამულო** ჩვენ ბეჯითად დავეწაფებით ტექნიკურებისა და ტექნიკის მრავალფეროვან დარგებს, მიღებულ ცოდნას მოვახმართ საყვარელი **სამშობლოს** კეთილდღეობას.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან **სამშობლოს!**

გაუმარჯოს საბჭოთა სახელმწიფოსი და ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეს, პიონერებისა და მოსწავლეების უახლოეს მეგობარს — ამხანაგ ლავრენტი **ბერიას!**

დიდება და დიდებამ ძლიერ ნორჩი თაობის მზრუნველ მამასა და მასწავლებელს, კაცობრიობის უდიდეს ადამიანს, ხალხთა საყვარელ ბელადს ბრძენ **სტალინს!**

ვინ იქნება საქართველოში საუკეთესო ბრიგადირი და ტრაქტორისტი?

ჩვენ პირველობას არ დავთმობთ

9 მაისი ჩვენი გამარჯვების ბრწყინვალე დღესასწაულია. ამ დღეს ალენიშნავთ დიდი პოლიტიკური ფიქრ. საწარმოო ალმავლობის ეთაურებში.

ხალხთა ბელადმა დიდმა **სტალინმა** ისტორიულ სპარეველმისო ბრძანებაში მოგვიწოდა ყარ დაგიშურთო ძალა და შრომა ომისათვის, რომ არა მარტო მალალნაგ, არამედ გადაჭარბებითაც შეეასრულოთ ახალი ხუთწლედი.

დიდი ბელადის მითითებებით აღფრთოვანებულნი ჩვენი სატრაქტორო ბრიგადის წევრები ბეჯითად მუშაობენ, რათა განუწყვეტელივ ზარდნ შრომის ნაყოფიერება, მაღალნაყოფიერად გამოიყენონ თვითეული ტრაქტორი. ბრიგადას ექვსი წელია სოგარეულის რაიონში ხელთ უპყრია მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა. სოგაზუფხეული ხენა-თესვის გეგმა ჩვენ წელსაც გადაჭარბებით შევასრულეთ. ბრიგადის წევრებმა 327 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 290 ჰექტარისა, 125 კილოგრამი საწვავი დაზოგეთ.

შრომის ნაყოფიერების გადიდებამ ამით მივაღწიეთ, რომ სამივე ტრაქტორი „სტზ-ნატი“ და „ჩეზ-50“ ზამთარში კარგად შევაკეთეთ. მინდოდან მუშაობისას გვქონდა სათადარიგო ნაწილები, მარტივი რემონტით ხელი არ შეგვშლია. ეიცავთ ტექნიკური მოგლის წესებს, აღკვეთეთ ტრაქტორების ექმი დადარბენა, მოწყობილი ვვაქვს ორკეული მოშობა.

ჩვენი წარმატების საფუძველია შრომის სწორი ორგანიზაცია.

საუკეთესო მეშობრენ ბრიგადის ტრაქტორისტები ს. კოკინაშვილი, ქ. დათუნაშვილი, ვ. მამეკაშვილი, ს. ბაკანაშვილი, ნ. დათუნაშვილი.

შეკუდეკეთ საანეულო ხენას.

გაძარჯვების დღის აღსანიშნავად ვემეცნიეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში მინდვრის სამუშაოთა ბალალარისხოვნად შესრულებისათვის და ვკისრულებთ:

15-ძალიან ტრაქტორზე წლიური საშუალო გამოშუშავება ავიყვანოთ 310 ჰექტარამდე, ყოველდღიურად მოვხნათ 18-20 ჰექტარი ნაცვლად 13,6 ჰექტარისა, ნიადაგი მოვხნათ არა უმცირეს 20-22 სანტიმეტრი სიღრმისა, თვითეულ ჰექტარზე დავზოგოთ 2 კილოგრამი საწვავი.

მოვეწოდებთ საქართველოს მტს-ების სატრაქტორო ბრიგადირებს და ტრაქტორისტებს გაიარაოს სოციალისტური შეჯიბრება სატრაქტორო პარკია მთლიანად გამოყენებისათვის.

დიდი სტალინის საპარლამენტოსო ბრძანებას აუმჯობესოთ ახალი წარმატებებით, ინიდვრის საბოჭთათა დროულ და მაღალხარისხოვან შესრულებით.

მთელი ძალები დავრაზმოთ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაყოფიერად გამოყენებისათვის!

ფართოოდ გავაანალოთ შეჯიბრება მტს-ების სატრაქტორო ბრიგადირებსა და ტრაქტორისტებს შორის!

ვფიხთო, ვინ იქნება საქართველოში საუკეთესო ბრიგადირი და ტრაქტორისტი?

ი. კერატაშვილი

საგარეჯოს მტს-ის მეოთრმეტე ბრიგადის ხელმძღვანელი.

არცერთი მშრომელი ახალ სესხზე ხელმოწერის გარეშე!

ახალი სესხის წარმატება საქართველოში

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

ლაგოდეხი. სოფელ შრომის კოლმეურნეებმა ნაღდ ფულად შეიძინეს 125.000 მანეთის სესხი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. სამარგლიანმა ნაღდად შეიძინა 10.000 მანეთის ობლიგაცია, კოლმეურნე მარიამ დეკანიძემ—5.000 მანეთისა, მოხუცმა კოლმეურნემ ზ. ჩიხაშვილმა—2.500 მანეთისა.

ტყიბული. სტალინის სახელობის შახტის უფროსმა ლ. რატაანმა ნაღდ ფულად შეიძინა 6.000 მანეთის ობლიგაცია, ინჟინერმა მ. ციცხვაიამ 5.000 მანეთისა, ამავე შახტის მთავარმა მექანიკოსმა შ. კაკაბაძემ 4.000 მანეთისა, ლენინის სახელობის შახტის უფროსმა ნ. კვინიხიძემ 5.000 მანეთისა.

ხელმოწერა წარმატებით გრძელდება.

სიღნაღი. ერთაულოვად აწერენ ხელს ჩვენი ქვეკვეთის სახალხო მეურნეობის ადგილებისა და განვითარების სახელმწიფო სესხს სიღნაღის რაიონის შრომელები.

სოფელ ბობდის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სესხის გავრცელების პირველ დღესვე ნაღდ ანგარიშზე შეიძინეს 240.000 მანეთის ობლიგაციები. ამ კოლმეურნეობის წევრმა ფ. სარკალოვმა 6.000 მანეთის სესხზე მოაწერა ხელი და ფული იქვე შეიტანა. სოფელ ბობდისსავე კოლმეურნეობის „წითელი ოქტომბრის“ წევრებმა ხელი მოაწერეს 180.000 მანეთის სესხზე. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ნონაშვილმა ნაღდად შეიძინა 5.000 მანეთის ობლიგაცია. წითელარმიელის ცოლმა ანა ბაღაშვილმა ხელი მოაწერა 2.000 მანეთის სესხზე და ფული ნაღდად შეიტანა.

ბორჩალო. სოფელ ხელოვნების კოლმეურნეობა „ბანთიადის“ თავმჯდომარემ ვ. ჯანეზაშვილმა ხელი მოაწერა 10.000 მანეთის სესხზე. ასეთივე რაოდენობის სესხზე ხელი მოაწერეს აგრეთვე სოფელ წითელი თორჩოტნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბერძნიშვილმა, სოფელ მექვაბიანთაბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბერაშვილმა და სხვებმა.

ბოლნისი. სოფელ ბოლნისხაჩინის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. დინარსიანმა ნაღდად შეიძინა 8.000 მანეთის ობლიგაციები. კოლმეურნემ ა. ოგანესიანმა და ავარონმამა ვ. არუთიუნოვმა, თვითეულმა, ნაღდად შეიძინეს 8.000 მანეთის სესხი.

სოფელ წითელი სოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ნაღდ ანგარიშზე შეიძინეს 205.000 მანეთის ობლიგაციები. ამ კოლმეურნეობის წევრმა ნ. პეტროიშვილმა ხელი მოაწერა 2.000 მანეთის ობლიგაციებზე და ფული იქვე ნაღდად შეიტანა.

დუშეთი. 6 მაისისათვის რაიონში 4.100.000 მანეთის ნაკვეთად გავრცელებული იყო 4.635.000 მანეთის სესხი. ნაღდად შემოტანილია 3.257.670 მანეთი.

სოფელ პეტრესუნების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დემობილზებულმა გ. პატიროიშვილმა, ხუთბაკეარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ქავთარაძემ და სოფელ ჭინჭარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გრ. ბებიტრაშვილმა ხელი მოაწერეს თვითეულმა 5.000 მანეთის სესხზე და ფული ნაღდად შეიტანეს.

ზესტაფონი. ზესტაფონელმა შეტალურგებმა ახალ სესხზე ხელმოწერა პირველ დღესვე დაამთავრეს — გაავრცელეს 1.850.000 მანეთის სესხი. ქარხნის წარჩინებულმა სტაანოვალემა ი. დემეტრაშვილმა ხელი მოაწერა 12.000 მანეთის სესხზე. მეტალურგმა ი. კაკაელიძემ, ვ. ვეფხვაძემ, ლ. მალოკალელიძემ, შ. თედოზაშვილმა, გ. რაზმაძემ თვითეულმა—6.000 მანეთზე.

ოზურგეთი (ყოფილი ხარაგოული). კოლმეურნე ა. ქვინიკაძემ ნაღდად შეიძინა 10.000 მანეთის ობლიგაცია. კოლმეურნეებმა დ. ჭიპაშვილმა და ზ. ალავიძემ ხუთ-ხუთი ათასი მანეთი მისცეს სესხად სახელმწიფოს.

საგარეჯო. კოლმეურნეობა „შრომის“ თავმჯდომარემ ფ. დევდარიანმა 11.000 მანეთის ობლიგაციები შეიძინა, სოფელ ჩაილურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კალანდაძემ — 12.000 მანეთისა, ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. გელაშვილმა—10.000 მანეთისა. სახელმწიფოს 10.000 მანეთი სესხად მისცეს გომმორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. სელუნაშვილმა და მანავის ეორონშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ოთხმეზარმა.

ფოთი. სოფელ ზემოშეფის კოლმეურნეობის „კომუნის ეზოში“ წევრებმა ხელი მოაწერეს 440.000 მანეთის სესხზე და ფული იქვე შეიტანეს. სოფელ მირზაანის მე-18 პატრყოლოების სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ნაღდად შეიძინეს 200.000 მანეთის ობლიგაცია.

ხობი. სოფელ ხამისკერის ბაკრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ნაღდად შეიძინეს 281 ათასი მანეთის ობლიგაციები. პირველი ხორგის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გავრცელებულია 230 ათასი მანეთის, ხობის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში 165 ათასი მანეთის, ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 171 ათასი მანეთისა და სოფელ საყოჯიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 140 ათასი მანეთის სესხი.

ლენინგრადის ქარხანა „ელექტროპრიბორი“ ფაშიზმის მოსამარცხის საგანგებო საბჭოს გადაწყვეტილებიდან ბადიდან რეპატრიანტებს „ელექტროფეტრ“ სახელობის ქარხანა, ხუთათზე: საბჭოს სათავეთანა ზენინალი ვ. ვ. სოლოვიოვი, რომელიც ნარჩევს 200 პრიზიანებისა ასრულებს, რეპატრიანტებისა ანუ ფაშიზმის.

ფოტო ს. კრიშენინეცისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

კოლმეურნეებს შემოაქვთ ნაღდი ფული სესხზე ხელისმოწერის თანხების დასაფარავად

ვანის რაიონი

ახალი სესხი გავრცელებულია 4.205.000 მანეთის ოდენობით, რაც გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხის 100,1 პროცენტს შეადგენს. 7 მაისისათვის ნაღდად იყო შემოტანილი 4.009.000 მანეთი.

ქალაქ ზუგდიდის რაიონი

შრომელები დიდი ენტუზიაზმით შეუდგნენ ახალი სახელმწიფო სესხის გავრცელებას. ნაცვლად წინასწარ ნაკარაუდევი 1.000.000 მანეთისა, უკვე გავრცელებულია 1.016.000 მანეთის სესხი. სოფლის მოსახლეობისაგან სესხზე ხელმოწერის თანხა, რაც ნავარაუდევი თანხის 105 პროცენტს უდრის, მოლიანად ნაღდ ფულადაა შემოტანილი.

ჩოხატაურის რაიონი

კოლმეურნეებს მასობრივად შემოაქვთ ნაღდი ფული სესხზე ხელმოწერის თანხების დასაფარავად. 7 მაისისათვის ნაღდად იყო შემოსულია 3.422.000 მანეთი, ხოლო ხელმოწერის თანხა უდრიდა 3.660.000 მანეთს.

ადიგენის რაიონი

სოფლის მოსახლეობისაგან ახალი სესხის ობლიგაციების გამოსასყიდად ნაღდად არის შემოტანილი 756.000 მანეთი, რაც გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხის 108 პროცენტს უდრის.

სსრ კავშირთან იუგოსლავიის კულტურული თანამშრომლობის საზოგადოების დელეგაცია საქართველოში

სსრ კავშირთან იუგოსლავიის კულტურული თანამშრომლობის საზოგადოების დელეგაციამ საქართველოში ხუთ დღეს დაჰყო.

თბილისში დელეგაციამ ინახულა თბილისის კინოსტუდია, სადაც მას უჩვენეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაფაარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ორი დოკუმენტალური კინოფილმი, აგრეთვე ბახტრიონი ფილმი „დავთი“ გურამიშვილი“. სტუმრები ეესაუბრნენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მინისტრს ამხ. ვ. მაჭავარიანს.

დელეგაციის წევრებმა საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში ინახულეს სახეითი ხელოვნების ნაიუბილეო გამოფენა, დათვალიერეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი.

დელეგაციი გაემგზავრა საქართველოს ძველ დედაქალაქში — მცხეთაში, სადაც დათვალიერა ერთ-ერთი უძველესი ქართული ტაძარი—„სვეტიცხოველი“, სახელოვანთქმული ქართველი მხედართმთავრის მეფე ეიერეოლე მეორის სამლოცი და მეცხეთა-არმაზის სხვა ისტორიული ძეგლები.

სტუმრებმა ინახულეს თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი დრამატული თეატრი, სადაც დაეესწრნენ შანშიაშვილის პიესა „ხეკისბერი გოჩას“ წარმოდგენას, და თბილისის ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრი, სადაც მოისმინეს ოპერა „აბესალომ და ეთერი“. დელეგაციის წევრები შეხვდნენ ამ თეატრების შემოქმედებითს მუშაკებს, რომლებსაც გაეზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი.

მწერალთა სასახლეში დელეგაცია შეხვდა ქართველ მწერლებსა და პოეტებს. იუგოსლავიის სახალხო პოეტმა, სსრ კავშირთან სლოვენიის კულტურული თანამშრომლობის საზოგადოების მდივანმა

აფხაზეთი ახალ სტალინურ ხუთწლედში

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით“.
(ი. სტალინი).

ახალი სტალინური ხუთწლედი, რომელიც შემუშავებულია დიდი სტალინის მითითებით და მისი უშუალო მონაწილეობით, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის წინაშე და მათ შორის აფხაზეთის წინაშეც პასუხსაგებ და საპატიო ამოცანებს სახავს.

ხუთწლედის მანძილზე კაპიტალური დაბანდებანი აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობაში 236 მილიონ მანეთს შეადგენენ. ამ თანხაში არ შედიან ის კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც გათვალისწინებულია საკავშირო ბიუჯეტით საერთო-საკავშირო სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის დასაფინანსებლად.

მიმდინარე ხუთწლედში მკვეთრად დიდდება ქვანახშირის ამოღება. ეს ნაკარნახევია სათბობზე არა მარტო სამრეწველო საწარმოთა მზარდი მოთხოვნილებით, არამედ უმთავრესად იმით, რომ მშენებლობის პროცესში მყოფი ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი ტყვარჩელისა და ტყიბულის კოქსვადი ქვანახშირით იმუშავებს.

ტყვარჩელში გათვალისწინებულია ქვანახშირის ამოღების ზრდა ერთისამად და კიდევ უფრო მეტად. ამისათვის საჭიროა 1946-1947 წლებში დავამთავროთ ოთხი ახალი შახტის მშენებლობა. აქედან უკვე დამთავრებულია და საექსპლოატაციოდ გადაეცა ერთი (№ 2 შახტი). დანარჩენი სამი შახტი მშენებლობის პროცესშია. ფართოდ გაჩაღდება გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები ქვანახშირის ახალ საბადოთა გამოსავლინებლად.

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი კარგად მუშაობს ახალი სტალინური ხუთწლედის პირველ წელს. ქვანახშირის ამოღების 4 თვის სახელმწიფო გეგმა ტრესტმა შეასრულა 100,2 პროცენტით, ხოლო სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა 151,5 პროცენტით.

ტყვარჩელის პარტიული ორგანიზაცია და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელობა არ უნდა დაკმაყოფილდნენ მიღწეულით. მათ უფრო უნდა გააუმჯობესონ მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სანგრევის ხაზის გადიდებას, ავარიებისა და მექანიზმთა შეფერხებების მაქსიმალურად შემცირებას, სანგრევსა და ლავაში შრომის სწორ ორგანიზაციას.

წარმატებით მუშაობენ შახტმშენებლებიც. ტყვარჩელშახტმშენის ტრესტმა 4 თვის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა.

შეიძლებოდა გაცილებით მეტის გაკეთება, მაგრამ უკანასკნელ დრომდე საშახტო და საბინაო მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება დამაკმაყოფილებლად არ იყო დაყენებული. გარდა ამისა, შახტმშენებლების მუშაობას აფერხებს პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების უქონლობა. საქართველოს შახტპროექტი დროულად არ უზრუნველჰყოფს მშენებლობას სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციით, ე. ი. პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვით.

ჩამორჩენილია საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა. 1946-1947 წლებში ტყვარჩელშახტმშენის ტრესტმა, სამი ახალი შახტის მშენებლობის გარდა, კვეზანში უნდა ააშენოს კეთილმოწყობილი მუშათა საცხოვრებელი უბანი 30 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი—6 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით.

საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი ისეთი სამშენებლო მასალებითაც კი, როგორიც არის აგური, კრამიტი, კირი, ცემენტი, ლურსმანი, რომელთა წარმოება ტრესტს წარმატებით შეეძლო მოეწყო ადგილობრივ. ამ მხრივ ჯეროვნად ტყვარჩელშახტმშენის ტრესტის ხელმძღვანელობა საკმაო ინიციატივასა და მოსაზრებულობას ვერ იჩენს, ხოლო პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი მას საკმაო კონტროლსა და დახმარებას არ უწევს.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას როგორც სპეციალისტებისათვის, ისე მეშახტეებისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ სპეციალისტსა და მუშას ჰქონდეს თავისი კეთილმოწყობილი სახლი და მიწის ნაკვეთი ხეხილის ნარგავებით. ეს უეჭველად შეუწყობს ხელს სპეციალისტებისა და მუშების შენარჩუნებას.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია აფხაზეთის ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვანი გადიდება. 1946 წელს უნდა დამთავრდეს ბერიას სახელობის ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეორე რიგი, რაც შესაძლებელს გახდის რამდენადმე განამტკიცოს საქართველოს სამრეწველო საწარმოთა ენერგომომარაგების ბალანსი, განსაკუთრებით წყალნაკლებობის პერიოდში. სადგურის მეორე რიგის მშენებლობა და მოქმედი აგრეგატების ექსპლოატაცია წარმატებით სწარმოებს. ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა 1946 წლის 4 თვის განმავლობაში სადგურის კოლექტივმა 113 პროცენტით შეასრულა.

მიმდინარე ხუთწლედში დიდმნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. სადგურის მშენებლობის გეგმა 1946 წლის 4 თვეში 112,1 პროცენტით შესრულდა. მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს ყველა ძირითადი სამშენებლო სამუშაო როგორც ძირითადი ჰიდროელექტროსადგურის, ისე სოხუმჰეს-სოხუმის მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზის, აგრეთვე ქალაქ სოხუმში ძაბვის შემამცირებელი სადგურის ასაგებად. სადგურის პირველი ორი აგრეგატი საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1947 წლის მეორე ნახევარში, ხოლო 1948 წელს სადგური სრული საპროექტო სიმძლავრით ამუშავდება. ამ დროისათვის სავსებით რეკონსტრუირებულ უნდა იქნას ქალაქ სოხუმის ელექტრომეურნეობა. სოხუმჰესის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ქალაქი სოხუმი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიით. საქართველოს საწარმოები მიიღებენ დამატებითს ელექტროენერგიას. შეიქმნება პირობები შავი ზღვის რკინიგზის ელექტროფიკაციისათვის.

ახალ ხუთწლედში ფართოდ განვითარდება აგრეთვე კვების და ადგილობრივი მრეწველობა.

მრეწველობასთან ერთად კიდევ უფრო განვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობა. ჩაის პლანტაციების ფართობი ხუთწლედში გადიდდება 3.100 ჰექტარით, ციტრუსოვან კულტურათა ფართობი—3.800 ჰექტარით, ამასთან მთავარი ყურადღება მიექცევა ყველაზე ძვირფასი ციტრუსოვანი კულტურების — ლიმონისა და ფორთოხლის გაშენებას. გათვალისწინებულია მეთამბაქოობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა. მკვეთრად მატულობს ყველა სახის პირუტყვის სულადობა.

ჩვენ შეუპოვრად უნდა ვიმუშაოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ასამაღლებლად და პირუტყვის პროდუქტიულობის გასადიდებლად. გადაუდებელი ამოცანაა უკვე მიმდინარე წლიდან მკვეთრად გავადიდოთ მოსავლიანობა, განსაკუთრებით ციტრუსოვანი კულტურებისა.

ჩვენს წინაშე დასახულია კონკრეტული ამოცანა — წელს დავამზადოთ სულ მცირე 125 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ნაცვლად 1945 წელს დამზადებული 61 მილიონისა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია მეციტრუსე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მკვეთრად გააუმჯობესონ ციტრუსების მოვლა. პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების მოვალეობაა უზრუნველჰყონ ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლის ყველა სამუშაოთა გულდასმით და თანმიმდევრულად შესრულება. ციტრუსოვანთა ყველა მსხმოიარე პლანტაციაში, მათ შორის კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზეც, უნდა შევიტანოთ მინერალური სასუქების სრული დოზა, გავატაროთ ყველა ღონისძიება ციტრუსოვანთა ნარგავების სამკურნალოდ. საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ყველა სუბტროპიკული რაიონისათვის მიცემული გაფრთხილება, რომ ჩვენი მუშაობა მიმდინარე წელს იმის მიხედვით შეფასდება, თუ როგორ შევძლებთ დავრაზმოთ კოლმეურნეები, მუშები და სპეციალისტები ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის მისაღებად, იმის მიხედვით, თუ ციტრუსოვანთა რა მოსავალს მივიღებთ რაიონებში და მთლიანად რესპუბლიკაში.

ფართოდ უნდა განვავითაროთ ევკალიპტის კულტურა. საამისოდ მრავალი შესაძლებლობა მოგვეპოვება. ევკალიპტი განსაკუთრებით ძვირფასი ხეა. მისი მნიშვნელობა მრეწველობაში, მედიცინაში და დაბლობი ტენიანი ადგილების გაჯანსაღებაში საყოველთაოდ ცნობილია. მიმდინარე ხუთწლედში განზრახულია სულ მცირე 11.234 ათასი ძირი ევკალიპტის დარგვა.

ომისწინა წლებში დარგული 4.384.300 ძირი ევკალიპტის ხიდან დარჩენილია სულ 327.200. დანარჩენი ნარგავები არასაკმაო მოვლის გამო დაიღუპა. 1944 წელს აფხაზეთში დაირგო 169.700 ძირი ევკალიპტი ანუ გეგმის 169,7 პროცენტი, 1945 წელს—559.300 ძირი ანუ გეგმის 104,5 პროცენტი. 1946 წელს ევკალიპტის დარგვის გეგმა დამტკიცებულია 600 ათასი ძირის რაოდენობით, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ დავრგოთ სულ მცირე 1 მილიონი ძირი.

ამხანაგმა ბერიამ, რომელიც ამასწინათ საქართველოში იყო, მიგვითითა, რომ საჭიროა უფრო სწრაფად განვავითაროთ ევკალიპტის კულტურა როგორც ქალაქებში, ისე განსაკუთრებით სოფლად. თუ აქამდე ყოველწლიურად ასეულ ათასობით ევკალიპტს ვრგავდით. ახლა ყოველწლიურად მილიონობით ხე უნდა დავრგოთ. ამასთან საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ევკალიპტის დარგვა არც თუ ისე ძნელი საქმეა, მთავარია უზრუნველვყოთ მისი სათანადოდ მოვლა და გაზრდა.

ხუთწლიან გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქალაქების კომუნალურ და საბინაო მშენებლობას. აფხაზეთში კაპიტალური დაბანდებანი ქალაქების კომუნალურ მეურნეობაზე დაგეგმილია 95.234 ათასი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან 80 პროცენტამდე მოხმარდება სოხუმის საქალაქო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

საბინაო მშენებლობა აფხაზეთში გათვალისწინებულია 13.360 კვადრატული მეტრის რაოდენობით. აქედან სულ მცირე 10 ათასი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი აშენდება ქალაქ სოხუმში.

სოხუმში განსაკუთრებით მტკიცედ უნდა მოვკიდოთ ხელი არსებული საბინაო ფონდის შენარჩუნების საკითხებს. ქალაქ სოხუმში სულ 368 კომუნალური სახლია 72.136 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით. აქედან კაპიტალურ რემონტს საჭიროებს 111 სახლი 7.200 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, მიმდინარე რემონტს—47 სახლი 1.307 კვადრატული მეტრი ფართობით, გადაუდებელ რემონტს—14 სახლი 1.313 კვადრატული მეტრი ფართობით. სახლების რემონტი ცუდად მიმდინარეობს, ვინაიდან ეს საქმე ჯეროვნად უზრუნველყოფილი არ არის ხე-ტყის მასალით, ცემენტითა და სახურავი რკინით.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც ქალაქ სოხუმში მიმდინარე წელს უნდა გადაიჭრას, შემდეგია: ქალაქის მოსახლეობისა და მრეწველობის უზრუნველყოფა სასმელი და სამეურნეო წყლით, ყველა სკვერისა და პარკის უზრუნველყოფა სარწყავი წყლით, მოსახლეობისა და მრეწველობის სრული უზრუნველყოფა ელექტროენერგიით, ზოგიერთი ქუჩის რეკონსტრუქცია და ქუჩებისა და ტროტუარების მოასფალტების განგრძობა, საბინაო მშენებლობის დაჩქარება, საკანალიზაციო და ღვარსაშვები ქსელის გაფართოება და გაუმჯობესება, ქალაქის გამწვანების განგრძობა იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში სოხუმი ქალაქ-პარკად გადავაქციოთ, ქალაქის ტერიტორიის დაჭაობებული ნაწილის ამოსაშრობ სამუშაოთა ჩატარება.

ამჟამად სოხუმში წყლის მწვავე ნაკლებობაა. არსებული წყალსადენი სრულებით ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობისა და სამრეწველო საწარმოთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამასთან დაკავშირებით მთავრობის გადაწყვეტილებით 1945 წელს დაიწყო ახალი წყალსადენის მშენებლობა. პირველი რიგის მშენებლობა 1947 წელს დამთავრდება. ამის შედეგად ქალაქი სოხუმი წამში 125 ლიტრ წყალს მიიღებს. მეორე რიგის მშენებლობა ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება. წყალსადენის სამუშაოთა სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 8.525 ათას მანეთს შეადგენს, მათ შორის პირველი რიგის სამუშაოებისა — 4.302 ათას მანეთს. წყალი გამოგვყავს ეშერის წყაროებიდან. სპეციალისტების დასკვნით ეს წყალი კარგი ხარისხისაა. სოხუმის საქალაქო საბჭო ემზადება ამ წყლის მისაღებად. მიღებულია ზომები ქალაქის წყალსადენის ქსელის სრული რეკონსტრუქციისათვის. გარდა ამისა, გაყვანილი იქნება ახალი მაგისტრალი ქალაქის იმ ნაწილებში, რომლებიც წყლით უზრუნველყოფილი არ არიან.

გაჩაღებულია პირველი რიგის მუშაობა ქალაქ სოხუმის ტერიტორიის დაჭაობებული ნაწილის ამოსაშრობად. ამ ღონისძიებაში შედის: პირველი სამთო არხის მოპირკეთების დამთავრება და სათავის ნაგებობის მოწყობა, ქალაქის ტერიტორიის დაბლობი ნაწილის მიწით ამოვსება, მდინარე ჭაობას კალაპოტის გასწორება, მისი ნაპირების მოპირკეთება და შესართავის ნაგებობის მოწყობა, შავი ზღვის გზატკეცილზე რკინა-ბეტონის ხიდის აგება და პირველ სამთო არხზე ხიდების დამთავრება, ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე მდინარე ჭაობას მარჯვენა ნაპირზე მეორე სამთო არხის მშენებლობა. აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულება განსაზღვრულია 4.600 ათასი მანეთის რაოდენობით. ეს სამუშაოები დავალებული აქვს სოხუმმშენის ტრესტს იმ ანგარიშით, რომ ისინი 1947 წელს დაამთავროს. ამავე დროს სწარმოებს მდინარეებს—ჭაობასა და გუმისტას შუა ქალაქ სოხუმის ტერიტორიის დაჭაობებული ნაწილის ამოშრობის მეორე რიგის სამუშაოთა დაპროექტება. ამ სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულება 14 მილიონ მანეთს შეადგენს. დაჭაობებული ტერიტორიის ამოშრობით იქმნება წინაპირობები ქალაქის განვითარებისათვის დასავლეთი მიმართულებითაც და მალარიის კერების ლიკვიდაციისათვის.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ქალაქ სოხუმში 46 ათას კვადრატულ მეტრამდე ქუჩების მოკირწყვლა, 254 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი ქუჩებისა და ტროტუარების მოასფალტება. მდინარე სოხუმის წყლის კეთილმოწყობის დამთავრება, ნაპირის გასამაგრებელი სამუშაოთა ჩატარება და 55 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი ფართობის გამწვანება.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს სოხუმის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 4.250 ათას მანეთს შეადგენს. 1945 წლის აგვისტოდან მშენებლობა გაძლიერებული ტემპებით სწარმოებს. 1946 წლის 1 აპრილისათვის უკვე ათვისებული იყო 1 მილიონ მანეთზე მეტი. მშენებლობა მთლიანად უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 1947 წლისა.

მიმდინარე ხუთწლედში დასახულია აგრეთვე აფხაზეთის მთავრობის სახლის მშენებლობის დამთავრება და საზამთრო კინოთეატრის აგება.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო დიდ სახსრებს იძლევა სოხუმის შემდგომი კეთილმოწყობისათვის. ამით კვლავ და კვლავ თავს იჩენს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის დაუღალავი ზრუნვა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის. ჩვენი მოვალეობა ახლა ის არის, რომ გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა და მოსაზრებულობა ახალი რესურსების მობილიზაციის საქმეში. არ შეიძლება სახელმწიფოს მოვთხოვოთ ყოველი აგური, ყოველი ლურსმანი.

დიდიხანია დროა, რომ სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოაგვაროს ძირითად სამშენებლო მასალათა წარმოება და დაამზადოს არა მარტო აგური, კირი და კრამიტი, არამედ აგრეთვე ლურსმანი, სჭვალი, ფანჯრისა და კარის მოწყობილობა და სალებავები, ჯეროვან სიმაღლეზე აიყვანოს საქალაქო სამრეწველო კომბინატის მუშაობა და განამტკიცოს სოხუმმშენის ტრესტი. მაშინ საქმე გაცილებით უკეთ წავა.

უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი, მუდმივად ვზრუნავდეთ მისთვის, რომ კეთილმოწყობის საქმე საიმედო ბოლშევიკურ რელსებზე იქნას დაყენებული.

პარტიისა და მთავრობის მიერ ახალი ხუთწლედის მანძილზე ქალაქ სოხუმის შემდგომი კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებული დიდი კაპიტალური დაბანდებანი ავალებენ საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის ორგანიზაციას იმუშაოს ისე, რომ გადააქციოს სოხუმი ერთ-ერთ ულამაზეს საკურორტო ქალაქად შავი ზღვის სანაპიროზე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი, სოხუმს რომ ინახულებს, აღტაცებული იყოს ჩვენი ქალაქით, როგორც ქალაქ—პარკით, აღტაცებული იყოს მისი ყოველი ქუჩით, ყოველი უბნით და მწვანე ნარგავებით.

აი რა საპატიო ამოცანა დგას ქალაქ სოხუმის ბოლშევიკების წინაშე.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ 1946 წლის—მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის ამოცანების შესრულებას, იღებენ ზომებს იმისათვის, რომ არ დაუშვან გეგმის შესრულების სამუშაოთა ჩამორჩენა არცერთ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და საწარმოში.

მძლავრმა საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ბრწყინვალე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ძლევამოსილად დაამთავრა რა დიდი სამამულო ომი, გამარჯვებულმა საბჭოთა სახელმწიფომ შესაძლებლობა მიიღო გადასულიყო მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაზე. ჩვენი საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად იცავს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენ ომი არ გვსურს, მაგრამ ვაი მას, ვინც მახვილს აღმართავს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს წინააღმდეგ. იგი გარდუვალად დაიღუპება საბჭოთა მახვილისაგან.

აფხაზეთის მშრომელნი მთელ ქართველ ხალხთან ერთად ღირსეულად მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ ახალ ხუთწლიან გეგმას. ამის საწინდარია ბრძოლისა და გამარჯვებათა შესანიშნავი სკოლა, რომელიც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა და ქართველმა ხალხმა გაიარეს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით.

ჩვენმა გმირმა ხალხმა თავისი გამოცდილებით იცის, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით იგი ყოველთვის სძლევდა ყოველგვარ სიძნელეს და გამარჯვებული გამოდიოდა.

კომუნისტური პარტიისა და მისი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ჩვენი სამშობლო იხსნეს მომაკვდინებელი საფრთხისაგან, გაანადგურეს ჰიტლერული გერმანია და იმპერიალისტური იაპონია. კომუნისტური პარტიისა და მისი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითვე ჩვენი გმირი საბჭოთა ხალხი ვადამდე შეასრულებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომ ხუთწლედს და ამით კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას.

ა. მგელაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

თბილისი. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა. სურათზე: ქარხნის მოწინავე სტახანოველები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ხარატის საპირველმაისო ვალდებულებანი (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. რიჟამაძე, ა. რობაქიძე და ო. ონიკაშვილი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

ვის რა წარმატება აქვს?

თბილისელ სტახანოველთა საქალაქო სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

თბილისის საწარმოთა სტახანოველებს შორის წარმატებით გრძელდება სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით. სტახანოველები საყოველთაო-სახალხო ზეიმის—გამარჯვების დღის აღსანიშნავად ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ დედასამშობლოს.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელი ვ. კორძაძე კვლავ ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს. 4 და 6 მაისს მან დღიური საწარმოო დავალება 900 პროცენტით შეასრულა. მეყალიბეებს შორის ყველაზე უკეთესად იმუშავა სტახანოველმა გ. მელაძემ, რომელმაც 6 მაისს დღიური ნორმა 938 პროცენტით შეასრულა. საწარმოო გეგმებს სისტემატურად 900 პროცენტით ასრულებს მეყალიბე ი. მირზოევი. ზეინკლებს შორის ყველას გაუსწრო დემობილიზებულმა ი. ხარგალაძემ, რომელიც დღიურ საწარმოო გეგმას სისტემატურად 700 პროცენტით ასრულებს.

კიროვის სახელობის ლაზგათმშენებელ ქარხანაში ზეინკლებს შორის დაწინაურდა ა. ბენდიანიშვილი, რომელიც დღიურ საწარმოო გეგმას სისტემატურად 400-500 პროცენტით ანაღდებს. ხარატებს შორის საწარმოო გეგმების შესრულებაში სახელი გაითქვეს ი. უკოლოვმა, ეფიმოვმა და ნაზაროვმა.

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ზეინკლებს შორის ყველაზე უკეთესი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ შ. ომიანიძეს და ს. აგაიშვილს. ისინი დავალებებს 270-280 პროცენტით ასრულებენ. ხარატებს შორის დაწინაურდნენ ბ. გორა, ს. ესკინი, ა. დადეშიანი და ვ. ამირგულოვი.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში მჭედლებს შორის პირველობას კვლავ წარჩინებული სტახანოველი დ. ჩიმჩიური ინარჩუნებს. იგი ნორმებს 350-400 პროცენტით ასრულებს. ზეინკლებს შორის აქ დაწინაურდა დემობილიზებული ა. ირემაძე, რომელიც ყოველდღიურად გეგმის 350 პროცენტს იძლევა. ზეინკლებს შორის დაწინაურდნენ ბრიგადები, რომლებსაც ევდოკია ჩერნოვა და ს. სისოევი ხელმძღვანელობენ.

საქართველოს მეშახტეთა მუშაობა აპრილში

ტყიბული („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ტყიბულელმა მეშახტეებმა აპრილში ქვანახშირის ამოღების დავალება 109 პროცენტით შეასრულეს, სამშობლოს საპირველმაისო საჩუქრად გეგმის გადამეტებით მრავალი ასი ტონა ქვანახშირი მიუძღვნეს. სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულა 115 პროცენტით, ხოლო სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა — 144 პროცენტით. ამ მაჩვენებლებით ეს შახტი ტყიბულში პირველ ადგილზე გამოვიდა.

ტყვარჩელი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ტყვარჩელელმა მეშახტეებმა აპრილში ბევრად უფრო ნაყოფიერად იმუშავეს, ვიდრე მარტში. ქვანახშირის ამოღების გეგმა აპრილში ტრესტმა 101 პროცენტით შეასრულა. საშუალო სადღეღამისო ამოღება მარტთან შედარებით გადიდებულ იქნა 1,3 პროცენტით.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტყვარჩელელები სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულებაში. დავალება შესრულებულია 120,1 პროცენტით. 3,3 პროცენტით არის შემცირებული ქვანახშირის ნაცრიანობა.

საუკეთესოდ იმუშავა აპრილში № 2 შახტის კოლექტივმა.

11.700 მეტრი ქსოვილი

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ს. გიგაური) ქსოვილების გამოშვების აპრილის გეგმა 110,7 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 11.700 მეტრი სხვადასხვა ქსოვილი.

ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს სააპრეტურო-სამღებრო საამქროს, რომელსაც ინჟინერი ვ. ჭანიშვილი ხელმძღვანელობს.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში საფაბრიკო პირველობა მოიპოვეს მრთველებს შორის—ნ. ზარქუამ და ქ. ბარამიძემ, მქსოველთა შორის—მ. ბარათაშვილმა, ლ. ასათიანმა, ა. ოსტრიკოვამ და მ. ცირეკიძემ.

სტახანოური მაჩვენებლები

გამარჯვების დღეს—9 მაისს ახალი საწარმოო მიღწევებით ხვდებიან ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნები.

საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ლიტოპონის ქარხანამ, აპრილის საწარმოო დავალება მან 103 პროცენტით შეასრულა. გააუმჯობესა ხარისხი და გაადიდა შრომის ნაყოფიერება. განსაკუთრებით დაწინაურდა შაპიამნის საამქრო (უფროსი ა. ოყრეშიძე), რომელმაც 25 ტონა შაბიამანი დაამზადა გეგმის გადამეტებით.

გამარჯვების დღისადმი მიძღვნილმა შეჯიბრებამ 200-ზე მეტი სტახანოველი და დამკვრელი გამოავლინა. კარგი მუშაობით თავი ისახელეს მეაპარატე ვ. ბაზაძემ, ხარატმა ი. გოგიძემ, შემდუღებელმა გ. ჩხენკელმა, ძხარშავმა ბ. გოდუაძემ. მათ 4 თვეში შეასრულეს ნახევარი წლის საწარმოო დავალებები.

მაუდის ფაბრიკის კოლექტივი ეჯიბრება თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას. 20-მდე მქსოველმა და ართველმა შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისელი ამხანაგები.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებამ გააძლიერა სტახანოური მუშაობა. მქსოველმა თ. მესხმა, რომელიც თბილისელ სტახანოველ ბ. შაბუნინას ეჯიბრება, აპრილის საწარმოო დავალება 169,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო სტახანოველმა ო. ოვანიკოვამ გეგმას 51 პროცენტით გადააჭარბა. შრომის ნაყოფიერების ასე მკვეთრი ზრდის შედეგად მაუდის ფაბრიკამ მზა ნაწარმის გამოშვების გეგმა აპრილში 105 პროცენტით შეასრულა.

რკინიგზის კვანძის საწარმოთაგან საუკეთესო შედეგები მოიპოვა საორთქლმავლო დეპომ. მან ორთქლმავლების გარბენის 4 თვის დავალება 148 პროცენტით შეასრულა, ავადმყოფ ორთქლმავალთა რიცხვი შეამცირა 0,9 პროცენტით და დაზოგა 375 ტონა საწვავი.

ლუნინელმა მემანქანეებმა ს. კიკნაძემ და ა. ოდიშარიამ გეგმები 40 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს. პირველმა 6 ნახევარი ტონა საწვავი დაზოგა, ხოლო მეორემ — 3.500 კილოგრამი.

გამარჯვების დღეს წარმატებით ხვდება რიონის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივიც. მიმდინარე წლის 4 თვის გეგმა მან 123,07 პროცენტით შეასრულა და ელექტროენერგიის საკუთარი მოხმარება შეამცირა 6,83 პროცენტით.

გ. მეფისაშვილი

ვალდებულებები შეასრულეს

სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალმა არტელმა „მეღითონემ“ (თავმჯდომარე მ. მემარნიშვილი), რომელიც ჩაბმული იყო საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, აპრილის დავალება 118,1 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 78.000 მანეთის თოხი, წალდი, კედროები და სხვ.

გადაჭარბებით შეასრულა აპრილის გეგმა ამავე სისტემაში შემავალმა არტელმა „ელექტროლითონმა“ (თავმჯდომარე ე. პარტისპანიანი).

არტელმა „კვებკომბინატმა“ (თავმჯდომარე ე. უბჯიევი), რომელმაც პირველ კვარტალში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით თითქმის ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა, აპრილის დავალებაც 112,1 პროცენტით შეასრულა. არტელი ამზადებს კარგი ხარისხის ხელის ჩემოდნებს, უშვებს პლასტმასის ნაწარმს და საკანცელარიო ნივთებს.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

29 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 29 აპრილი. (საქდესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ შტრაიხერის დაკითხვა. შტრაიხერი ყოველი ხერხითა და საშუალებით ცდილობს სხვებს გადააბრალოს თავისი დანაშაულობანი. დარბეულ ფურცლის—„შტიურმერის" ციტატებით ჩიხში მომწყვდეული შტრაიხერი ბუტბუტებს, თითქოს იგი მხოლოდ იმეორებდა ჰიტლერის აზრებს მთელი ებრაელი მოსახლეობის მოსპობის „გარდუვალობის შესახებ". იქ კი, სადაც შეუძლებელია ჰიტლერის ან სხვა ვინმეს დამოწმება, შტრაიხერი ყოველნაირად იძვრენს თავს, ამასთან ცდილობს უვნებელი ხასიათი მისცეს თავის დანაშაულობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული ჯიუტად უარჰყოფს, ბრალდება ამტკიცებს, რომ შტრაიხერი მარტო ანტისემიტურ პროპაგანდას არ სჯერდებოდა. მისი ბრძანებით ნიურნბერგისა და ფიურტის ებრაელებს წაართვეს საკუთრება. რამდენიმე დღეში შტრაიხერმა და მისმა ხელქვეითებმა პირწმინდად გაძარცვეს ებრაელთა რვაასი ოჯახი, გადასცეს რა მათი დუქნები, შინამრეწველური სახელოსნოები და სახლები „წმინდა სისხლის არიელებს". უხვი ნადავლი ერგო თვითონ გაულაიტერს, რომელმაც საფუძვლიანად შეავსო თავისი სალარო ებრაელთა ნაძარცვი ქონებით.

ბრალმდებელს მოჰყავს ციტატები შტრაიხერის მიერ გამოთქმული აზრებისა, რომლებიც რბევისაკენ მოუწოდებდნენ, და ამტკიცებს, რომ ბრალდებულმა უცილობლად იცოდა ებრაელთა მასობრივი მოსპობის შესახებ ევროპის აღმოსავლეთში და თავისი სტატიებით შთააგონებდა ჰიტლერელებს ჩაედინათ ეს საშინელი აწიოკებანი.

ჰიტლერული გერმანიის კრახის მოახლოებისდაკვალად შტრაიხერი სულ უფრო და უფრო გაშმაგებით მოითხოვდა ებრაელთა პირწმინდად მოსპობას.

ბრალმდებლის შეკითხვაზე, როგორ უნდა იქნას გაგებული ეს აზრებიო, შტრაიხერი უტიფრად უპასუხებს:

„ეს მხოლოდ მომავალში ჩახედვაა".

ბრალდების მიერ შტრაიხერის დაკითხვის დამთავრების შემდეგ ტრიბუნალის დარბაზში შემოჰყავთ მოწმე ჰერვერდი, რომელიც დიდხანს იყო შტრაიხერის პირადი შოფერი. მოწმე ყოველმხრივ ცდილობს გაამართლოს თავისი ყოფილი პატრონი. შემდეგ დაჰკითხეს შტრაიხერის ცოლი, რომელიც აქებს და ადიდებს ბრალდებულის „სათნოებას".

ამ მოწმის დაკითხვით მთავრდება ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

30 აპრილის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 30 აპრილი. (საქდესი). ტრიბუნალის დილის სხდომაზე ადვოკატი მარქსი მთელი რიგი მოწმეების დაკითხვით ამთავრებს ბრალდებულ შტრაიხერის დაცვას.

ტრიბუნალი გადადის ბრალდებულ შახტის საქმის განხილვაზე. მისი დამცველი დოქტორი დიქსი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას იწყებს თვით ბრალდებულის დაკითხვით. დიქსის თხოვნით, შახტი დაწვრილებით უამბობს ტრიბუნალს თავის ბიოგრაფიას, ჩერდება გერინგსა და ჰიტლერთან თავის ნაცნობობაზე, აგრეთვე მის მიერ წიგნ „ჩემი ბრძოლისა" და ჰიტლერული პარტიის პროგრამის შესწავლაზე. შახტი აცხადებს, რომ მას დანაშაულებრივად არ მიაჩნია ფაშისტური პროგრამა და ეთანხმება მას, აქვე დასძენს, რომ იგი „მთლიანად არ იზიარებს" „ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის" ცალკეულ პუნქტებს.

შახტის დაკითხვის გაგრძელება გადაიდო საღამოს სხდომისათვის.

30 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 30 აპრილი. (საქდესი). დღეს ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა შახტის დაკითხვა მისი დამცველის მიერ. შახტი უგულებელჰყოფდა ფაქტებს და დაჟინებით უარჰყოფდა მისთვის წაყენებულ ბრალდებებს. ბრალდებული ახლა ცდილობს უწყინარ გამოსვლებად გაასაღოს 1934-1937 წლების პერიოდის თავისი აგრესიული სიტყვები და დეკლარაციები, რომლებშიც შახტი შეიარაღებისაკენ მოუწოდებდა გერმანელებს და ომით ემუქრებოდა ევროპის ხალხებს.

ეხება რა ბერლინში ამერიკის ყოფილი გენერალური კონსულის მესერშმიტის ჩვენებას, რომელიც შახტს ამხილებს, ბრალდებული ამტკიცებს, თითქოს მესერშმიტს „არ შეეძლო" გაეგონა მისგან არავითარი აგრესიული გამოთქმები, არავითარი მუქარა ომის შესახებ. ხოლო როდესაც ბრალდებულს მიუთითებენ იმაზე, რომ მესერშმიტის ჩვენება ემთხვევა გერმანიაში ამერიკის ყოფილი ელჩის დოდის ჩანაწერებს, რომელიც აგრეთვე შახტთან პირად საუბრებს იმოწმებს, შახტი ცდილობს ეს მტკიცებაც შებღალოს სასაცილო განცხადებით იმის შესახებ, რომ დოდის დღიურები მასმა შვილებმა დაამუშავეს და ამატომ თითქოს არ შეიძლება, რომ ისინი სარწმუნოდ ჩაითვალონ. ამასთან შახტი იწყებს მსჯელობას დოდის პიროვნების შესახებ და აცხადებს, რომ იგი „განირჩეოდა საკვირველი უნარით შეექმნა სხვადასხვა გაუგებრობა". ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი ჯექსონი დაკითხვის წარმოებაში ერევა და პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ბრალდებულს საშუალება ეძლევა გააკრიტიკოს, შეაფასოს და დაახასიათოს ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენელთა საქმიანობა.

უპასუხებს რა დამცველის კითხვაზე ჰიტლერისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ, შახტი ჰიტლერს უწოდებს „ნახევრად-განათლებულ ადამიანს", რომელსაც დამთავრებული სასკოლო განათლება არ ჰქონდა. შემდეგ კი იწყებს ლაყბობას ჰიტლერის პიროვნების შესახებ და ამასთან ქებადიდებას ასხამს მას. შახტი ამტკიცებს, თითქოს იგი ჰიტლერის მიმდევარი არ ყოფილა, მაგრამ იქვე დასძენს, რომ კავშირი არ გაუწყვეტია ჰიტლერთან.

შახტის დაკითხვის გაგრძელება გადატანილია 1 მაისის დილის სხდომისათვის.

1 მაისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 1 მაისი. (საქდესი). ტრიბუნალის მთელი დილის სხდომა მიეძღვნა ბრალდებულ შახტის დაკითხვას. მისი დამცველი ადვოკატი დიქსი ინტერესს იჩენდა დაწვრილებითი ცნობებისადმი, რომლებიც ხშირად არ შეეხებიან შახტისათვის წაყენებული ბრალდების დედაარსს. ამან აიძულა მთავარი ბრალმდებელი შეერთებული შტატებისაგან ჯექსონი ორჯერ მიეპყრო ტრიბუნალის ყურადღება იმაზე, რომ შახტის ჩვენებას მთელ რიგ შემთხვევებში არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საქმესთან. დასასრულ ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლორენსმა განუცხადა დამცველს, რომ იგი თითქმის მთელი დღეა აწარმოებს ბრალდებულის დაკითხვას, და ეკითხება მას, რამდენ ხანს აპირებთ კიდევ განაგრძოთ დაკითხვაო. ადვოკატმა უპასუხა, რომ მან, ადვილი შესაძლებელია, ხვალ დაამთავროს შახტის დაკითხვა.

დილის სხდომაზე ბრალდებულის დაკითხვის ძირითადი ნაწილი მიეძღვნა შახტის საფინანსო საქმიანობას. ბრალდებულმა აღიარა, რომ იგი უზრუნველჰყოფდა გერმანიის შეიარაღების დაფინანსებას, მაგრამ ამასთან სცადა თავი გაემართლებინა, რისთვისაც განაცხადა, ვითომ იგი ცდილობდა ამით „აქტუალობა მიენიჭებინა განიარაღების საკითხისათვის".

შახტის შემდგომი დაკითხვა გადატანილია საღამოს სხდომისათვის.

1 მაისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 1 მაისი. (საქდესი). ტრიბუნალის 1 მაისის საღამოს სხდომის მნიშვნელოვანი ნაწილი მოუნდა ბრალდებულ რედერის საქმეზე დოკუმენტების წარდგენას. ინგლისელმა ბრალმდებელმა მაქსუელ-ფაიფმა გააკეთა რედერის დამცველ ზიმერსის მიერ წარდგენილი უამრავი დოკუმენტის მიმოხილვა და ბრალდების სახელით უარჰყო მრავალი მათგანი, როგორც დამამტკიცებელ ძალას მოკლებული. ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ზიმერსს კვლავ გამოაქვს დოკუმენტები, რომლებიც ტრიბუნალმა უარჰყო რიბენტროპის საქმეზე წარდგენის დროს.

რედერის საქმეზე დოკუმენტების წარდგენის შემდეგ ადვოკატმა დიქსმა განაახლა ბრალდებულ შახტის დაკითხვა.

2 მაისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 2 მაისი. (საქდესი). ტრიბუნალის 2 მაისის დილის სხდომის დასაწყისი მიეძღვნა საპროცესო საკითხებს. შემდეგ შახტის დამცველმა ადვოკატმა დიქსმა განაგრძო თავისი მარწმუნებლის დაკითხვა.

ბრალდებული შახტი ცდილობს თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას აგრესიული ომების მოსამზადებლად ჰიტლერულ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის და დაარწმუნოს ტრიბუნალი, თითქოს იგი საერთოდ არ იცნობდა ჰიტლერის დამპყრობლურ საგარეო პოლიტიკას.

თავის შემდგომ ჩვენებაში შახტი ცდილობს თავი მოაჩვენოს ტრიბუნალს ჰიტლერული რეჟიმის თითქმის თავგამოდებულ მოწინააღმდეგედ. იგი ტრიბუნალს მოუთხრობს თავის კავშირზე სხვადასხვა გენერლებთან ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულების მოსაწყობად. ლაპარაკობს რა თითქოს ომის შეწყვეტისაკენ მიმართულ თავის ღონისძიებებზე, შახტი აცხადებს, რომ იგი საფრანგეთის დამარცხების შემდეგაც კი დარწმუნებული იყო იმაში, რომ გერმანია ვერ მოიპოვებდა გამარჯვებას, ვინაიდან მას არ ეყოფოდა ეკონომიური შესაძლებლობანი ომის საწარმოებლად.

შახტის შემდგომი დაკითხვა გადატანილია საღამოს სხდომაზე.

1 მაისის დღესასწაული იაპონიაში

ტოკიო, 2 მაისი. (საქდესი). (მიღებულია დაგვიანებით). გაზეთი „ასახი" სწერს, რომ ტოკიოსა და მთელ იაპონიაში 1 მაისის დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა მასებმა. მარტო ტოკიოში 1 მაისის დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა 500 ათასამდე მამაკაცი და ქალი. რეზოლუცია, რომელიც დემონსტრაციის მონაწილეებმა იმპერატორის სასახლის წინ მდებარე მოედანზე მიიღეს მანამდე, სანამ ქალაქის მთავარ ქუჩებზე გაივლიდნენ, შეიცავდა შემდეგ მუხლებს:

ეწყობოდეს გამოსვლა კონსერვატიული და რეაქციული მთავრობის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ შეიქმნას დემოკრატიული სახალხო მთავრობა სოციალისტური პარტიის მეთაურობით. ყველგან განდევნილ იქნან ომის დამნაშავენი; დაწესდეს სახალხო კონტროლი სურსათის წარმოებასა და განაწილებაზე; მოძებნილ იქნას გადამალული და დაგროვებული სურსათი; ურყევად განმტკიცდეს მუშების მიერ გაფიცვების გამოცხადების უფლება და კოლექტიური ხელშეკრულებათა დადების უფლება; კატეგორიული პროტესტი იქნას გამოცხადებული შრომის შესახებ გადასინჯული კანონის წინააღმდეგ; დაუყოვნებლივ განახლდეს წარმოება და უზრუნველყოფილ იქნან უმუშევრები სამუშაოთი; კატეგორიულად გამოითქვას აზრი საწარმოთა დახურვის წინააღმდეგ, შემოღებულ იქნას კანონი უმუშევრებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ; შეიქმნას ერთიანი მუშათა კავშირები საწარმოო პრინციპის მიხედვით; მიღებულ იქნას მონაწილეობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში; მინიჭებულ იქნას პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიური და კულტურული მოღვაწეობის თავისუფლება; შემოღებულ იქნას სახალხო კონსტიტუცია; შეიქმნას დემოკრატიული და მშვიდობიანი იაპონია.

მდგომარეობა ამერიკის საავტომობილო მრეწველობაში

ნიუ-იორკი, 7 მაისი. (საქდესი). მთელი რიგი კონფლიქტებისა და გაფიცვების შემდეგ, რომლებიც გამოწვეული იყო ხელფასის მომატების მოთხოვნით, საავტომობილო კომპანიებმა მიმართეს ღონისძიებებს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და საწარმოებიდან ქალებისა და ხნიერი მუშების დასათხოვნად. ეს, თავის მხრივ, იწვევს ახალ კონფლიქტებს მუშებსა და მეწარმეებს შორის.

კომპანია „ბრიგს მანიუფექჩურინგის" 35 ათასმა მუშამ მიიღო გადაწყვეტილება ერთი თვის შემდეგ გაფიცვა დაიწყოს. მათი მთავარი მოთხოვნაა ჯარიმების ლიკვიდაცია, მცირეხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის შეწყვეტა და წარმოებიდან ქალების დათხოვნის შეწყვეტა.

საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ორგანო „რისერჩ რეპორტი" იუწყება, რომ საავტომობილო მრეწველობაში ხდება წარმოებიდან ქალების მასობრივი დათხოვნა.

კომპანია „კრეისლერმა" გამოაცხადა, რომ 10 მაისიდან იგი დაიწყებს 65 წლის ასაკზე უხნესი მუშების დათხოვნას.

ურუგვაის პრესა საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის დაკავების წლისთავის შესახებ

მონტევიდეო, 3 მაისი. (საქდესი). საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის დაკავების წლისთავს ურუგვაის პროგრესული პრესა უძღვნის სპეციალურ სტატიებს, რომლებშიც აღნიშნავს საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ როლს ფაშიზმზე გამარჯვებაში, აღტაცებას გამოსთქვამს წითელი არმიის გმირობის გამო და მისი მხედართმთავრების წინაშე.

გაზეთი „ჯუსტისია" აღნიშნავს, რომ 1945 წლის 2 მაისს „სახელოვანი საბჭოთა დროშა აფრიალდა რაიხსტაგზე და გახდა სიმბოლო, რომელმაც ტრიუმფით დააგვირგვინა გრანდიოზული ეპოპეა", გაზეთი დასძენს, რომ ახლა ერთი წლის გასვლის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა საბჭოთა ხალხის გმირობა და კიდევ უფრო აშკარა გახდა გაერთიანებულ ერებს შორის დადებულ შეთანხმებათა ზუსტად შესრულების აუცილებლობა, ვინაიდან ამ წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა რეაქციული ძალების შემოტევა.

გაზეთი „დიარიო პოპულარი" აღნიშნავს, რომ კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს 2 მაისის დღეს, როცა „გენიალური სტალინის გმირმა ჯარისკაცებმა აიღეს ნაციზმის ციხესიმაგრე—ბერლინი".

გაზეთი „ელ ტიემპო" სტატიაში სათაურით „ბერლინის დაცემა ომის დამთავრება იყო" აღნიშნავს, რომ გერმანიის დედაქალაქის დაკავების ოპერაცია მსოფლიოს ისტორიაში ამ ყველაზე [illegible] ომის უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა.

ნაწილობრივი დემობილიზაცია იუგოსლავიის არმიიდან

ბელგრადი, 6 მაისი. (საქდესი). პრესაში გამოქვეყნდა უმაღლეს მთავარსარდალ მარშალ ტიტოს ბრძანება იუგოსლავიის არმიიდან ნაწილობრივი დემობილიზაციის შესახებ.

საფრანგეთში მომხდარი რეფერენდუმის შედეგები

პარიზი, 7 მაისი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს რეფერენდუმის შედეგს ოფიციალურ საბოლოო შედეგებს მეტროპოლიის 90 დეპარტამენტში, ჩრდილო აფრიკის 3 დეპარტამენტში, მადაგასკარში, რეუნიონში, ახალ კალედონიაში, სუდანსა და საფრანგეთის გვინეაში. კონსტიტუციის მოწონების სასარგებლოდ ხმა მისცა 9.327.073 კაცმა, წინააღმდეგ კი—10.488.059 კაცმა. ჯერ კიდევ არ არის საბოლოო შედეგები მარტინიკის, გვადელუპის, გვიანისა და საფრანგეთის სხვა სამფლობელოების შესახებ.

გაასამართლეს „ნაროდოვე სილი ზბროინეს" ბანდიტები

ვარშავა, 7 მაისი. (საქდესი). ვარშავის რადიო იუწყება, რომ პოზნანის რაიონულმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა „ნაროდოვე სილი ზბროინეს" ბანდიტთა ჯგუფის საქმეზე. ბანდის მეთაურს იან ტემპინსკის სიკვდილი მიესაჯა, დანარჩენ ბრალდებულებს—ხანგრძლივი პატიმრობა. პროცესმა გამოამჟღავნა ტერორისტული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა ბანდიტებისა, რომლებიც პოზნანის სავოევოდოს ზოგიერთ მაზრაში დათარეშობდნენ. ბანდიტები ხოცავდნენ დემოკრატ მოღვაწეებს.

მოითხოვენ პორტუგალიელი ანტიფაშისტი ქალების განთავისუფლებას

რიო-დე-ჟანეირო, 7 მაისი. (საქდესი). ბრაზილიის საზოგადოებრიობის 250-მდე წარმომადგენელმა ქალმა 4 მაისს პორტუგალიის პრეზიდენტს გენერალ კარმონას გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც მოითხოვა სალაზარის მთავრობის მიერ ამას წინათ დაპატიმრებული ცნობილი პორტუგალიელი ანტიფაშისტი ქალების არმანდა მარტინოს, დალილა ფონსეკას და მარიამ მაჩადოს განთავისუფლება.

შეიქმნა იაპონიის მეტალურგიულ საწარმოთა მფლობელების ასოციაცია

ტოკიო, 6 მაისი. (საქდესი). კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად მეტალურგიულ საწარმოთა 200-მდე მფლობელმა ტოკიოში თავისი ასოციაცია შეჰქმნა. კომპანია „ნიპონ სეიტეცუს" პრეზიდენტის მოადგილე აბე არჩეულია ასოციაციის ხელმძღვანელად.

კოლუმბიის პრეზიდენტად არჩეულია პერესი

ნიუ-იორკი, 7 მაისი. (საქდესი). ნიუ-იორკის რადიო გადმოგვცემს ინტერნეშენელ ნიუს სერვისის სააგენტოს ცნობას იმის შესახებ, რომ კოლუმბიის პრეზიდენტად არჩეულია კონსერვატიული პარტიის კანდიდატი პერესი.

ფაშისტური ტერორი ტრიესტში

ბელგრადი, 6 მაისი. (საქდესი). გაზეთები აქვეყნებენ ტრიესტიდან მიღებულ ცნობებს, რომლებიც მოწმობენ, რომ სამხედრო ხელისუფალთა მხრივ წაყრუებამ და სამოქალაქო პოლიციის მხრივ აშკარა ხელშეწყობამ ხელფეხი გაუხსნა ფაშისტურ ელემენტებს.

30 აპრილს ღამით ფაშისტებმა სასიკვდილოდ დასჭრეს სამუშაოდან მომავალი ძველი ანტიფაშისტი მებრძოლი იოვე რავენიკარი. მას მკერდსა და მუცელში დანით მიაყენეს ჭრილობები, რომელთაგან იგი 4 მაისს გარდაიცვალა. 1 მაისს საღამოს ფაშისტები თავს დაესხნენ სპორტულ დღესასწაულიდან მომავალ 16 წლის ადელია ცაბასს და დანით თვალი გამოსთხარეს. კომერკალეს ქუჩაზე ფაშისტთა ჯგუფი თავს დაესხა ოთხ ქალიშვილს—ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კავშირის წევრებს. რაფაელ გერგოლიას, რომელიც ქალიშვილებს მიეშველა, მძიმე ჭრილობები მიაყენეს. 30 აპრილს საღამოს უდინეს ქუჩაზე ფაშისტებმა ხელკეტებით სცემეს ოლივერ სფერცას და მის ცოლს და ცდილობდნენ მისთვის დანით დაეთხარათ თვალები. შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულმა სამოქალაქო პოლიციელებმა, დაჭრილ სფერცას მოთხოვნის მიუხედავად, უარი სთქვეს შეეპყროთ ფაშისტი ბანდიტები. დაახლოებით იმავე დროს ქუჩაში იპოვნეს უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი მეორე ანტიფაშისტი, რომელსაც სხეულზე დანით მიყენებული რამდენიმე ჭრილობა აღმოაჩნდა. 1 მაისს ტრიესტის ცენტრში, კარდუჩის ქუჩაზე, ფაშისტებმა წააქციეს პიონერი ბიჭი და ფეხებით სთელავდნენ.

3 მაისს საღამოს დაახლოებით 8 საათზე ფაშისტებმა ბიაზინომ და ძმებმა გალოებმა ბანდიტური თავდასხმა მოახდინეს ყოფილ პარტიზან ანტონ ვრემეცის სახლზე ტრიესტის გარეუბან ობჩინაში. ფაშისტებს უნდოდათ მისი სახლის კედლიდან მოეგლიჯათ იუგოსლავიის დროშა. როცა ვრემეცის დასახმარებლად თავი მოიყარეს 15-მდე ადგილობრივმა მცხოვრებმა, ბანდიტებმა რევოლვერის სროლა ასტეხეს და დასჭრეს სოშიცა და მილან ვრემეცები.

ტრიესტის ანტიფაშისტური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ ბანდიტურ თავდასხმებსა და ტერორისტულ აქტებში აშკარა ფაშისტებთან ერთად მონაწილეობენ ეგრეთწოდებულ „კომიტატო დი ლიბერაციონე ნაციონალეს" ორგანიზაციის წევრებიც.

ინგლისელი კორესპონდენტი ტრიესტში არსებული მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 6 მაისი. (საქდესი). გაზეთ „ობსერვერის" ტრიესტელი კორესპონდენტი პერეგრინი სწერს, რომ ამერიკელები და ინგლისელები აქეზებენ იტალიელთა ნაციონალისტურ გრძნობებს ტრიესტში. ნაციონალისტური გრძნობების ზრდა ხელსაყრელია ფაშისტური და ნეოფაშისტური ელემენტებისათვის. ფაშიზმის ამ გაძლიერების აღმაშფოთებელი დადასტურება ცხადი გახდა უკანასკნელ დღეთა ამბების მიხედვით. 1 მაისს, სწერს ავტორი, როცა იუგოსლაველ პარტიზანთა პროცესიები ქალაქში შევიდნენ, მათ შეხვდნენ კონტრდემონსტრაციები, „რომელთა მსვლელობაშიც იტალიელთა დიდი ჯგუფები ფაშისტური მისალმების ნიშნად მაღლა სწევდნენ ხელს ინგლისელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილ პოლიციელთა ცხვირწინ. საღამოს ფაშისტ ხულიგანთა ჯგუფები ტრიესტის ქალაქებსა და ბაღებში დაძრწოდნენ, თავს ესხმოდნენ უმწეო სლოვენ ქალებსა და ქალიშვილებს და იტალიის მემარცხენე პარტიების მარტოდ მიმავალ წევრებს. ხშირად გაფთრებული ჩხუბი იმართებოდა სასტუმრო „ალბერგო ცენტრალეს" წინ, სადაც ცხოვრობენ ინგლისელი ოფიცრები და სადაც ოთახი მეკავა მეც, აგრეთვე ბევრ სხვა პუნქტში. არც ერთ გამოცდილ მეთვალყურეს ეჭვი არ შეეძლება დაებადოს იმაში, რომ ამ შეხლაშემოხლასა და ჩხუბს აწყობდნენ და ხელმძღვანელობდნენ კარგად შენიღბული ელემენტები—ისინი ძლიერ აშკარად მოგვაგონებდნენ 25 წლის წინანდელი ფაშისტური ტერორის მაგალითებს".

ხორვატული გაზეთი იულიის კრაინის „ა" ზონაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ბელგრადი, 5 მაისი. (საქდესი). როგორც ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, ხორვატიის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული პროფკავშირების ორგანო „გლას რადა" ხაზგასმით აღნიშნავს ტრიესტის და „ა" ზონის სხვა რაიონების (ზონა, რომელსაც განაგებს ინგლის-ამერიკის სამხედრო ადმინისტრაცია) მშრომელთა ერთიანობას. გაზეთი ეხება იუგოსლავიასთან შეერთებისათვის იულიის კრაინის მოსახლეობის ბრძოლის ეკონომიურ მიზეზებს და მოჰყავს მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები იტალიის ბატონობაში მყოფ ამ ოლქის ქალაქთა ეკონომიური დაცემის შესახებ. მაგალითად, ტრიესტის ნავსადგურის ტვირთბრუნვა, რაც 6 მილიონ ტონას უდრიდა 1913 წელს, სამ მილიონ ტონამდე შემცირდა 1933 წელს. იტალიელებმა ფაბრიკა-სახელოსნოების მოწყობილობა იტალიაში გაზიდეს. პოლის მოსახლეობა, რომელიც 70 ათას კაცს შეადგენდა, 32,000-მდე შემცირდა, რადგან ბევრი იუგოსლავიასა და ამერიკაში გადასახლდა.

ეკონომიური პირობები,—განაგრძობს გაზეთი,—ახლაც არ შეცვლილა. ამჟამად ტრიესტში 30,000-მდე უმუშევარია. არ სწარმოებს არავითარი მუშაობა ქალაქებისა და სოფლების აღსადგენად. განსაკუთრებით მწვავედ დგას მოსახლეობის მომარაგების საკითხი. ქალაქის მცხოვრებლები დღეში 200 გრამ პურს იღებენ. პროდუქტების ფასები მუშებისათვის მიუწვდომელია. კილოგრამი ხორცი 300 ლირად ღირს, კილოგრამი პური—90 ლირად და სხვა. მუშების ხელფასი ძალიან მცირეა. ტრიესტში დაუბრკოლებლად მოქმედებს შავი ბაზარი.

ინგლისური პრესა საბერძნეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 5 მაისი. (საქდესი). როგორც გაზეთ „ობსერვერის" დიპლომატიური მიმომხილველი აღნიშნავს, ბრიტანეთის მთავრობამ ამერიკის შეერთებულ შტატებს მემორანდუმი გაუგზავნა, რომელშიც წინადადებას აძლევს, რომ საბერძნეთში პლებისციტი მეფის დაბრუნების საკითხზე მოეწყოს „რაც შეიძლება მალე" და არა 1948 წელს, როგორც გათვალისწინებული იყო თავდაპირველად. მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ინგლისის ჯარები საბერძნეთში დარჩებიან, სანამ პლებისციტი არ ჩატარდება. ამ წინადადების სასარგებლოდ წამოყენებული მოსაზრებანი დამყარებულია საბერძნეთში არსებულ პოლიტიკურ პირობებზე, რომლებიც ამასწინანდელი არჩევნების შედეგად შეიქმნა.

გაზეთ „რეინოლდს ნიუსის" ათენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საბერძნეთის მთავრობამ გადასწყვიტა კვლავ შეჰქმნას უმუშევრების ყბადაღებული კომიტეტები, რომლებიც მეტაქსასის დიქტატურისა და გერმანული ოკუპაციის დამახასიათებელი ნიშნები იყო, როცა მათ იყენებდნენ დემოკრატების განსადევნად. პროფკავშირების ათენის საბჭომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას და ლონდონის, პარიზისა და ნიუ-იორკის პროფკავშირების საბჭოებს დეპეშები გაუგზავნა, რომლებითაც ატყობინებს, რომ საბერძნეთში გაძლიერდა ტერორი და რომ ხელისუფლებას განზრახვა აქვს კანონგარეშე გამოაცხადოს პროფკავშირები. საბერძნეთში ყოველდღე ხოცავენ 5-15 კაცს, უმთავრესად რესპუბლიკელებსა და კომუნისტებს.

ნორვეგიის საზოგადოებრიობა მოითხოვს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას ფრანკისტულ ესპანეთთან

ოსლო, 5 მაისი. (საქდესი). ნორვეგიის სხვადასხვა ორგანიზაციები და კავშირები, საქალაქო მუნიციპალიტეტები და მუშათა კრებები კვლავ მოითხოვენ მთავრობისაგან, რომ მან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა გასწყვიტოს ფრანკისტულ ესპანეთთან. გაზეთი „ფრიჰეტენი" აქვეყნებს გემების „ჰარალდ ტორსვიკისა" და „ვესტუმის" მეზღვაურთა კრებების რეზოლუციებს და საქალაქო მუნიციპალიტეტების მთელ რიგ დადგენილებებს, რომლებიც გადაჭრით მოითხოვენ ფრანკოსთან ურთიერთობის გაწყვეტას. „დანამდვილებით შეიძლება ითქვას,—ნათქვამია ქალაქ ლარვიკის საქალაქო მუნიციპალიტეტის რეზოლუციაში,—რომ მთავრობას ნორვეგიელი ხალხის უმრავლესობა გაჰყვება, თუ იგი ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის მებრძოლ სახელმწიფოებს შეუერთდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნორვეგიამ ოფიციალურად უნდა დაუჭიროს მხარი პოლონეთის ინიციატივას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და დაუყოვნებლივ შეუერთდეს იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ყოველგვარი ურთიერთობა გასწყვიტეს ფაშისტურ ესპანეთთან".

ესტრადის მსახიობთა მეორე საკავშირო კონკურსი

საესტრადო ხელოვნების [illegible] ლი დონის [illegible] რების გამოვლინების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი მიმდინარე წლის ივლისში ატარებს ესტრადის მსახიობთა კონკურსს.

კონკურსზე წარმოდგენილი იქნება ლირიკული და საჟანრო სიმღერები, მუსიკალური ფელეტონი, სატირა, იუმორი, მხატვრული კითხვა, ცეკვა, აკრობატიკა, ილუზია, მანიპულაცია, ხმის იმიტაცია, მხატვრული სტვენა.

კონკურსი ჩატარდება სამ ტურად. პირველი ტური მოეწყობა რესპუბლიკების დედაქალაქებში, ხოლო მეორე და მესამე ტური—მოსკოვში.

საქართველოში პირველი ტური ჩატარდება ივნისში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დაამტკიცა კონკურსის მოსამზადებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: პ. კანდელაკი (თავმჯდომარე), დ. ბენაშვილი, შ. ბუაჩიძე, ლ. კავსაძე, ლ. გვარამაძე, ე. აფხაიძე, ი. გრიშაშვილი, გ. აბაშიძე, დ. კაკაბაძე, დ. ჯავრიშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, გ. ჩხიკვაძე, ი. გოკიელი, ვ. გოძიაშვილი, ვ. ბრაგინი და ე. სავიცკი (მდივანი).

მოტოკროსი

გამარჯვების დღის აღსანიშნავად თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი 9 მაისს სოფელ დიღმის რაიონში ატარებს მოტოკროსს 50 კილომეტრ მანძილზე. კროსში მონაწილეობას იღებენ ქალაქის საუკეთესო მოტოციკლისტები: კ. ბერუჩაშვილი, ა. გუნია, გ. ესაიანი, შ. სუხიშვილი, შ. ორთავაძე, გ. იაკობიძე და სხვები.

მოტოკროსის სტარტი დანიშნულია დღის 12 საათზე.

კომერციული პურის მაღაზია

„საქვაჭრობის" ქუთაისის განყოფილებამ ამ დღეებში ტყიბულში გახსნა კომერციული პურის მაღაზია, რომელიც ყოველდღიურად 1.000 კილოგრამ პურს ჰყიდის.

დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა სახელმწიფო გამოცდები

საკავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი გაცხოველებით ემზადება სახელმწიფო გამოცდებისათვის, რაც 3-დან 28 ივნისამდე იწარმოებს ინსტიტუტის შენობაში (ათაბეგოვის ქუჩა № 32). გამოცდების პერიოდში მოეწყობა ლექციები კონსულტაციები და ახსნა-განმარტებითი საუბრები.

გამოცდებზე გამოცხადებულ სტუდენტებს ხელფასი ენახებათ და გზის ხარჯები აუნაზღაურდებათ.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

10 მაისს, დილის 9 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია თემაზე: **„ვ. ი. ლენინის წიგნი — „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში".**

ლექციას წაიკითხავენ დოცენტი **გორგილაძე** (ქართულ ენაზე), პროფესორი **აზატიანი** (რუსულ ენაზე).

10 მაისს, საღამოს 7 საათზე, კომკავშირული პოლიტწრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ".**

სემინარს ჩაატარებს დოცენტი **ხიმონგულოვი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

8 მაისს: სახელმწიფო ოპერა—„სევილიელი დალაქი". **რუსთაველის სახელობის**—„დიდი ხელმწიფე". **მარჯანიშვილის სახელობის** — „დავით აღმაშენებელი". **გრიბოედოვის სახელობის**—„განათლების ნაყოფი". **სომხური** — „წითელი გულქანდა". **ახუნდოვის სახელობის** —„ასლი და ქიარამი". **მუსიკალური კომედიის**—„მზის დაბნელება". **თოჯინების ქართული**—„ნანა ტყეში" და „ბებია დარეჯანის ზღაპრები". **რუსული**—„ბატის პუკი".

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
საზაფხულო თეატრი და ბაღი (პლეხანოვის პროსპ. 123).

8 მაისს

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი კომპოზიტორ გ. კოკელაძის ხელმძღვანელობით

ბაღში უკრავს სასულე ორკესტრი და საზანდარი.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულიორის პლატო)
9 მაისს **სახალხო სეირნობა, მიძღვნილი**
გამარჯვების დღესასწაულისადმი

ესტრადაზე
დიდი კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის ჯაზ-ორკესტრის, საგუნდო კაპელის და სახელმწიფო თეატრების მსახიობთა მონაწილეობით

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. კონცერტი ტრანსლირებული იქნება რადიოთი.
პარკში
სასულე და აღმოსავლური ორკესტრები
საერთო ცეკვები
სხვადასხვა ატრაქციონები, ფეიერვერკი
პარკი ღიაა დილის 11 საათიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1946-47 სასწავლო წლისათვის ქ. თბილისის მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებში შემდეგ სპეციალობებზე:

სკოლებში—ფორტეპიანოს და საორკესტრო (სიმებიანი და სასულე ინსტრუმენტები) სპეციალობებზე.

სასწავლებლებში—ფორტეპიანოს, ვოკალური, საორკესტრო (სიმებიანი და სასულე) თეორიულ, საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობებზე.

განცხადებების მიღება სკოლებში სწარმოებს 15 მაისამდე, მისაღები გამოცდები 21-დან 26 მაისამდე.

განცხადებების მიღება სასწავლებლებში სწარმოებს 20 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები 26 აგვისტოდან.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება სასწავლო დაწესებულებათა სამდივნოში შემდეგი მისამართით:

1-ლი სკოლა და სასწავლებელი —	ენგელსის ქ. № 14,	ტელეფ.	№ 3-08-02
მე-2 " "	ნინოშვილის ქ. № 39,	"	№ 3-19-48
მე-4 " "	საბჭოს ქ. № 100,	"	№ 3-60-21
მე-5 " "	კოჯრის ქ. № 1,	"	№ 3-63-45
მე-6-7 " "	კალინინის ქ. № 7,	"	№ 3-47-24
მე-8-9 " "	მელიქიშვილის ქ. № 2,	"	№ 3-02-64
მე-10 " "	ვარდის მოედანი № 7,	"	№ 3-81-03
მუსიკალური სტუდია	ათარბეგოვის ქ. № 38,	"	№ 3-46-48

მოქალაქე **დარეჯან ივანეს-ასულმა ცინცაძემ,** მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 65, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **დავით ივლიანეს-ძე ცინცაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **შალვა ივანეს-ძე მამულაშვილმა,** მცხოვრებმა დერბენტის შესახვევი № 9, აღძრა საქმე ჩოდრიშვილის ქ. № 14 მცხოვრებ მოქალაქე **ანა სიმონის-ასულ ბალიაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

ოჯახი იუწყება **მიხეილ დავითის-ძე გელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/V, 4 ს. ქ. ხაშურში, გამოსვენება 8 მარტის ქ. 4.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველო და სამეცნიერო მეთოდური სკოლამდელი კაბინეტის თანამშრომლები იუწყებიან **სოფიო შუბლაძის** გარდაცვალებას.

ა.-კ. რკინიგზის საორთქლმავლო სამსახურის თანამშრომლები იუწყებიან **გიორგი იოსების-ძე შიშნიაშვილის** გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება **ისკანდერ დურსუნის-ძე მოწყობილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/V, 7 ს. გამოსვენება 9/V, 5 ს. კალინინის, 7.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი იუწყება **ადხემ ფარაჯის-ძე ხულთანოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9/V, 7 ს. ვაშლოვანის შესახვ., 5.

ოჯახი იუწყება **ნატალია ივანეს-ასულ ბეჟაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10/V, 8 ს. გამოსვენება 11/V, 6 ს. ნუნუს, 9.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00153